


პვირა,  
15 სექტემბერი,  
1929 წ.  
№ 38  
(222)

განმარტებელი  
ფასი 10 კპ.

გრაფულა მხოლოდ გამარჯვებულსათვის  
ახლა



ჩვენ ისევ ვიბრძვით!... და მიიღე ინდუსტრიის განვითარებით, მისი მტკიცე კავშირით სასოფლო მე-  
ურნეობასთან გამარჯვებით კიდეც!



# გიტოს სკაპტიციზი



— კიდევ კარგი, ჩემო ალფესი, რომ ერთი დღით ჩოლად გამოვალთ, თორემ, მთელი კვირა, როპ დაეძინე-ნაო და დაერქმიათ „ინდუსტრიალიზაციის კვირა“, და არა დღე, მე შენ გეტყვი და, უარს ეტყოდო, ვაჟაუტუ-ბოდო: „არ შევასროლებო!“.

— განა, მარტო შესრულებაზეა საქმე? ხელჯანსაც უნდა გადაიდოს!... ხომ იცი, მრავალ მილიონასი კო-ლექტივი ბრძანებს ამას ასე!...

— ჰო და მეც იმას არ ვამბობ? კიდევ კარგი, რომ მარტო ერთი დღით იოლად გამოვდივართ-თქვა.

— მერე და, შენა გგონია, მართლაც მარტო ამით დაკმაყოფილდებიან? განა, სხვა რამეს კი ვერ გამოიკო-ნებენ?—

რატომაც ვერა! ძალაც მათ ხელშია და გამოგონე-ბაც. სხვა რომ არა იყვის რა, განა, მომავალ წელშიც კი ვერ გაგამეორებინებენ ამავეს? რაც ერთხელ ბევრად დაგვლო, მორჩა: შევიდა „პაგრამაში“ და ისაა.

— არა, გიტო, არც სულ მასე არის. გაგეორება და ერთისა და იმავეს დაჩემება მუშათა ხელისუფლებას არც ისე უყვარს, როგორც შენა გგონია. მას უფრო ახალ-ახალი გამოგონებები სჩვევია.

— ახლის გამოგონებებზე არც ძველს შეუშვებენ ხელს, ნუ გეშინია..

— ესეც მართალია, მხოლოდ, რაც „ინდუსტრია-ლიზაციას“ კი შეეხება, სხვა თუ არა, იგი ერთი ხუთი წლით მაინც დაბეგრებულია უნდა ჩაითვალოს, სანამ თა-ვიანთ ხუთი წლის გეგმას არ მოასრულებენ.

— მართლა, ეს ხუთი წლის გეგმა რილას მაქნისია, ეს კი ველარ გამოიგია.

— გეგმა, არ იცი, რაა თუ? გეგმა—პლანია შე კა-ცო! პლანი გაჰყავთ სოციალიზმისაკენ, აი, როგორც უწინ გზის პლანი გაჰყავდა ხოლმე, ლევანა „ლაზირატე-ლი“ რომ იყო.

— მართლა, ლევანა. რომ ცოცხალი ყოფილიყო ახლა, დიდ მოწონებაში კი იქნებოდა ამათან. მისთანა „პლანის“ გაქრა თვითონ „გლანის“ ინჯილერს უჭირდა, აი!

— როგორ გგონია შენ? ახლა კი ნაკლებია ლევა-ნასთანა უსწავლელი ხალხი, ინჯილერებს რომ სჯობია „პლანის“ გამოგონებაში? თვითონ ეს „ინდუსტრიალიზა-ციის დღეც“ ხომ უბრალო მუშის წინადადებაო, რო-გორც ამბობენ.

რომ ვსთქვათ?

— რატომაც? ერთი „ლიზნი“ დღე წელიწადში თუ კი ერთმა მუშამ კი გამონახა, მეორე, რომ მეორემ გამო-ნახოს, მესამე—მესამემ, როგორ გგონია, რამდენი „ლიზ-ნი“ დღის გამონახვა შეიძლება ამ ხუთი წლის განმავ-ლობაში?

— მართლა, ამ საგანზე მე არასოდეს არ დაფიქრე-ბულვარ.

— ჰო და დაფიქრდი და იანგარიშე, თუ კი ასე გინ-და შეტყობა.

— შენ კი დაფიქრებულხარ?

— დაფიქრებულვარ და გამომიანგარიშებია კი-დეც.

— მერე რამდენი მოდის?

— მთელი ერთი „კენკრეზი“ წელიწადი!

— რას ამბობ? მართლა?!

— მართლა კი არა, მეტსაც გეტყვი: ახლა როპ „შეუჩრებელ სამუშაო წელიწადს“ ამბობენ, იცი იგი რამდენ დროს გამოიყვანს ამ ხუთი წლის განმავლობა-ში? იმ ჩემ მიერ ზევით ნაჩვენებ ანგარიშით, სრულ თერამეტ წელიწადს!

— აი, ამას კი ვერ დაგიჯერებ!

— შენი ნებაა: დამჯერე გინო ნუ დამიჯერებ, მხოლოდ ანგარიში კი ანგარიშად რჩება. იგი მაინც თა-ვისას აკეთებს.

— მოდი ერთი ამისენი, თუ ღმერთი გუამდის, რა ნაირად გამოვა თერამეტი წელიწადი?

— ჯერ შენ ის მითხარი, ზევით მოყვანილ ანგარიშ-ზე დამჯერდი თუ არა?

— ეს, რომელ ანგარიშზე?!

— აი, ხუთი წელიწადი რომ ერთ წელიწადს მომი-ტებს, თუ რომ „ლიზნი“ დღეები, ე. ი., ვგრედწოდებუ-ლი კვირა-უქნეები გაუაქმებთ და ისინიც სამუშაო დღეთ ვაქციეთ?

— ჰო, დაახლოებით ეს მართლაც ასე უნდა იქნას.

— დაახლოებით კი არა, ეს ბეჯითად ასეა. ახლა მოდი და ჩამომყვი შეუჩრებელ სამუშაო წელიწადო-ბით ანგარიშშიც!

— ინებე, ყურს გიგდებ!

— ეხლა ხომ რვა საათის მეტს არ ვმუშაობთ, ზო-გან შვიდ საათზეც არიან ვადასულნი.

— დიახ, ეს ასეა.

— ახლა შეუჩრებლად, ე. ი., მთელი ოცდა ოთხი საათის განმავლობაში რომ გრძელდებოდეს სამუშაო დღე, ეს ხომ დამჯერ-მეტი იქნება საბოლოო ანგარიშში?

— ესე იგი, ყოველ წელიწადში სამი წელიწადი? დიახ, სწორედ ასე, ხოლო, ხუთის მაგივრად, თუ კი შენ ექვსზე მე უქვე დამეთანხმე, სამჯერ აღებულვი ეს ექვსი წელიწადი იქნება სრული თერამეტი წელიწადი!..

— მართლაც და ეს რა ჯადო რამეა, შენი ჭირიმე!.. მხოლოდ ერთი კია: ხალხი ვერ აიტანს ამ რამეს. თერამე-ტი წლის განმავლობაში დაუძინებლად, შეუსვენებლივ მუშაობას ვინ გაუძლებს?!

— ხა-ხა-ხა-ხა!... რა გულუბრყვილო ვინმე ხარ შენ, ჩემო გიტო! ხალხს არისავან ხომ კიდევ მეტი შეღატაკო მიციემა, ვაჯრე დღეს აქვს!... მას კიდევ მეტი დასაკენ-ბის შესაძლებლობა გაუჩნდება...  
— როგორ?

— როგორ და სრულიად უბრალოდ. შენა გგონია, შეუსვენებლივ აღამიანები იმუშავენ?

— აბა, სხვამ ვინ უნდა იმუშაოს?

— სწორედ ეგ არის, რომ ყველაფერი უკუდგარ-თად გესმისთ. ინდუსტრიალიზაციის კრიტიკას ყოველ-მხრივ ადვილად ჰკიდებთ ხელს, ხოლო მისი ბუნება კი ისე იცით, როგორც მე აი, ჩინური ანბანი!..

— რა ბუნებაა ეს ასეთი რომ მისი ცნობა გასჭირდა?

— რაა და ის, რომ ინდუსტრიალიზაცია და განვი-თარებული ინდუსტრია გულისხმობს აღამიანთა სამუ-შაო ენერჯის დიდი ნაწილის მანქანებით შეცვლას. მა-შასადამე, შეუსვენებლივი მუშაობა იგულისხმება, რო-გორც მანქანათა შეუსვენებელი მუშაობა და არა აღა-მიანთა. ამ უკანასკნელთათვის სამუშაო დრო იმდენად-ვე იკლებს, რამდენადაც იმატებს მანქანათა რიცხვი და მათი მუშაობა. მანქანას კი, როგორც იცი, არც ძილი უნდა, არც დასვენება მაინცა და მაინც და არც სხვა რამე. გაცვთება, გამოსცვლიან, მორჩა და გათავდა: იტ-რიალებს ჩარხი, იმოთქმებს ქმედი და, ხუთი ჩვეულებ-რივი წლის ჩვეულებრივი მუშაობის ნაცვლად, ამ წე-სით მოსჭრის მთელ თერამეტ წელიწადს!..

— რაღაც ზღაპრულად მეჩვენება ეს ამბავი, ჩემო ალფესი, თუმცა უნდა გამოტებით მოგახსენო, რომ რა-ღაც სიმართლესაც ძალიან ჰგავს.

— ჰო და ამ ჩემს ხალას ანგარიშში თუ შენ სიპარ-თლის მსგავსების მეტი ვერაფერი დაინახე, სრულიად არ მაკვირვებს შენი მსჯელობაც ინდუსტრიალიზა-ცი-ის შესახებ. როგორც სჩანს, ამ საქმეში შენ თვალთმაქცობათ და ეშმაკობათ გე'გენება ყველაფერი, როცა მოსკელ ნაღდი და საიჭილო აღამიანს თვით საკუთარი ძა'ჯუკე-ნაც კი არ აქვ!

— როგორ, განა, საკუთარ მარჯვენზე ნაღდი ინ-დუსტრიაა?!



— აბა, კარგათ დაუფიქრდი, რას ამბობ? ერთი ას მითხარი, თუ ღმერთი გწამდეს, რომელი მარჯვენა შეს-  
ძლებს დღეს იმ საქმეს, რასაც უბრალო მანქანა გააკე-  
თებს? გამოსჭედე შიშველი მარჯვენით თუნდაც ერთი  
უბრალო ლურსმანი.

— ლურსმანი ცალკეირი ხელით ვის გამოუჭედა?...  
— ჰო, და მანქანა კი მას წუთში ათობით და ასო-  
ბით გამოსჭედს და გამოისვრის ხოლმე.

— მართალი ხარ, ალფესი, მართალი.

— მართალი ვარ არა მარტო მე, არამედ მართალი  
არიან ყველა ისინი, ვინც მანქანათა მუშაობას, საერ-  
თოდ ინდუსტრიასა და ინდუსტრიალიზაციის იდეას უჭე-  
რენ მხარს. ნასწავლი ხალხი ამას ადვილად იგნებს, ადვი-  
ლად ხედავს. იმათზე არას ვამბობ. მხოლოდ ქება და  
დიდება იმ უბრალო მუშებს, რომლებიც სხვადასხვა გა-  
მოგონება - მოფიქრებებით უწყობენ ხელს ამ მოძრაო-  
ბას. ინდუსტრიალიზაციის დღის იდეაც ერთი ასეთი მი-  
საბადი და სამაგალითო იდეაა ამ სფეროში.

— და შენ ამბობ, ის ვიღაც უბრალო მუშის წინა-  
დადებთაა?!

— დიან, უბრალო მუშის!...

— დიდი გონების პატრონი კი ყოფილა ის კაცი...  
— დიდი გონებაც არ უნდა ზოგ უბრალო რამეს.

საჭიროა მხოლოდ იდეათა და რწმენით გამსჭვალვა, სა-  
ჭიროა საქმის სიყვარული, ერთგულება და მოსაზრებაც  
მოვა.

— მართალი ხარ, ალფესი, მე შეგიგენი ახლა ამ  
უბრალო ერთი დღის დიადი მნიშვნელობა. ფიქრი ამა-  
ზედ მე ახლა აღარ მამძიმებს უკვე. ამჟამად მე უკვე გა-  
მიჩნდა მეორე უფრო სამძიმო და სავალალო ფიქრი.

— ეს რის შესახებ?

— იმის შესახებ, რომ მე ამ მშვენიერ და დიად გა-  
მოგონებათა სფეროში სრულიადაც არ მინდა ჩამოვრჩე  
იმ უბრალო მუშას, ვინც პირველად გამოსთქვა ახრი იმ  
ინდუსტრიალიზაციის დღის შესახებ. **ო.ნისიმი.**



ღარიბი გლახი: ამბობენ, სოფლად წითელი ზე-  
ღელი უნდა დაარსონო!..

კულაკი: მე კი ზეღელი რახანია უკვე წითლად  
მაქვს შეღებილი?..

# „ლირსაული“ მუშაკები

(ჭიათურა—მუშაკო.ოპი)

შიილე ჩემგან, ტარტაროზ,  
ჩვენება შეუტდომელი,  
მოგითხრობ ჩვენში უმსგავსი  
ვინ არის ანდა რომელი.

უნდა გიამბოთ რა ხდება  
კოპერატივის ხაზითა.  
სიმართლეს ვიტყვი ენაც რომ  
ამომავლიჯონ ვაზითა.

მუშაკობის საჩაიეში,  
ყველა ყოფილხართ, მგონია,  
იქ გამყრელიძე ანიჩა  
როგორ არ გაგიგონიათ?..

მას მიმართავენ „მოგებედე,  
აქ მოგვიტანე პური“,  
კუთხიდან ისმის: „გიყურებთ,  
გვშივა“ ან კიდევ „გმწყურია“...

პასუხი არის ასეთი:  
„თქვენ გარდა სხვებიც არიან,  
შე უფრო ზხედები თქვენზედა  
ვის უფრო შივა ძალიან“.

ამ დროს მოდიან გამგენი:  
საწყობის, კოპერატივის,  
ანიჩა მიხვდა ეს ხალხი  
ღირსი არიან პატივის.

მათ რაც უბრალოდ, იმ წუთში  
მოვიდა სისრულეშია.

მადლობა გადაუხადეს  
ხელი ჩაჰკიდეს ხელშია.  
დღესაც და მელქაძე  
სიამოვნებით ხედებიან  
იმ ამბავს, სხვას რომ სტოვებენ  
და იმათ ეგებებიან.

მუშამ სთქვა ყურს არ მიგდებენ,  
აღბათ, რომ ცუდათ მაცვია,  
აქაც საჭირო ყოფილა  
რადაც რეკომენდაცია.

კომედიაა ცხოვრება,  
ცრუ არის წუთი-სოფელი,  
მთელი ქვეყანა მისია,  
ვისაც უჭირავს პორტფელი.

წამოდვა ზეზე, წავიდა-  
სამართლიანად გამწყალი,  
ორი საათი შესრულდა,  
ჩაის უცდიდა საწყალი.

ესლა გიამბობთ რას სჩადის  
მეორე თანამშრომელი,  
ვალიკო პაქსაშვილია  
თუ რომ იკითხავთ რომელი..

„კანტრალიორის“ ადგილზე  
გადმოიყვანეს მდივანი,  
აქ მოუშუშდა ჭრილობა,  
თემში რომ ქონდა მტკივანი.

სოფელში ყველამ იცოდა  
ამ ვაჟბატონის რაობა,  
ახლა ქალაქშიც დაიწყო  
თაღლითობ-ხელგამკრაობა.

ვაგონის მუშას ყიფიანს  
და ვინმე კაპანაძესა,  
წონით სიმინდი დააკლო,  
სჩივიან, განაცხადესა.

ესეთებს აძლევს სიმინდას,  
რომლებსაც მიაქვსთ ყიდიან  
ფულს იქ აძლევენ ოთახში,  
კერძოთ იმასთან მიდიან.

— „ღამე წაიღე სიმინდი,  
ძმო სხილაძე კაკოვო,  
თორემ ამბარგვენ აქედან,  
მერე მე რაღა გყლაპოო“.

ღარიბებს თითო ფუთს აძლევს  
შექლებულთ—ერთი სამადა,  
რადგან მათ სახლში ვალიკო  
ბევრჯერ ყოფილა თამადა.

ესე ამბავი არ არის  
ლიტონ სიტყვათა რახუნი,  
არც სხვისგან მოქორილია  
ჩემი თვალთ მაქვს ნახული!

საწამლავი.



# მაკ პრემიერი

შემსპირის ახალი ტრადიციანი ინგლისის —  
თანამედროვე ცხოვრებიდან  
მოგმადლი პირნი:

კონალდ მაკ—პრემიერი  
გიორგა — მეფე ინგლისისა  
ბოლდუინი — ყოფილი პრემიერი.  
ჩემბერლენი — ყოფილი მინისტრი.  
ლოიდ - ჯორჯი — ხუმარა მეფისა  
კერზონის აჩრდილი.

### I.

ლონდონი. მოედანი ბარლამენტის წინ.  
არჩევნები დასრულდა, ხალხი ზღვასა-  
ვით ღელავს.

მაკლონალდი (კონსერვატორებს):

მაშ, რა გეგონათ, ყურუშსალო კონსერვატორნიო!  
როგორიც უნდა, ბიჭები ვართ სწორედ ისეთნი,  
ჩვენ ასე ვიცით. დიან, ასე!... გეამათ ხომ კი?!  
იქით დადევით... იქით, იქით და გზა მოგვეციოთ,  
რაკი მთავრობის სავარძელში ჩავჯექით ჩვენა, —  
აწ ძნელი არის წამოვადება ჩვენი იქიდან.

### ბოლდუინი და ჩემბერლენი

ნუ, ნუ ტრაბახობ... დაგავიწყდა 24 წელში  
საბუღარიდან როგორ უცბად გადაგაფრინეთ?

### ლონალდი მაკ:

მაშინ სხვა იყო... შემდეგ ჰქუა ბევრი ვისწავლეთ,  
ვიციოთ: ბატონებს სამსახური როგორიც უნდათ!  
საწინააღმდეგოს არას ვიზამთ მათი ზრახვების;  
ვეშახურებთ, ვით მონები, ყურებ—დაქრილნი.

### ხმაბი:

გიორგა მეფე... გზა მიეციოთ მეფე გიორგას!

### გიორგა მეფე (მოდის და მიულოცავს მაკლონალდს):

სალამი შენდა, ჩემო მაკო, და გამარჯვება.

### ბოლდუინი (უჯიქებს ჩემბერლენს):

ეს ბებრუხანა მაიმუნი სიბერის უამსა  
მელად გარდიქვა... ოი, ბრიყვმა ნუ თუ არ იცის,  
რომ მაკლონალდი არის მისი მოსისხლე მტერი?!

### ჩემბერლენი:

ბრიყვი შენა ხარ, თუ გგონია, რომ აგრე არის.  
გიორგამ იცის, რომ ლონალდი მტერი კი არა,  
მოყვარე არის და ერთგული: ტახტის, გვირგვინის.

### მაკ (გიორგა მეფეს):

ოი, მეფეო! დავიბადე მე თუმცა წინედ,  
როცა პირველად მოველ ქვეყნად დედის საშოდან,  
მაგრამ ნამდვილად დავიბადე მე აი, ეხლა,  
როცა ვემხობი თქვენს ფეხებში და ვკოცნი მე მათ!  
(დაემხობა და მეფეს ფეხებზე ეამბორება).

### ლ. ჯორჯი (ლიღინებს):

ერთხელ, ერთხელ შეც ვიყავი  
მინისტრი და პრემიერი,  
და მაშინ მეც ამათსავით  
ლუკმა მქონდა გემრიელი.

მგელო, მგელო, ან რა გიშავს  
მსახურად გყავს მელიაო;  
ვარიებსა არ მოგაკლებს,  
თუ არ შემოვლიაო.

### გიორგა მეფე (მასხარას):

ვი, შენ, ხატავ, რას ბუტბუტებ გიქვიით შენთვის?!

### ლ. ჯორჯი:

ჰე! გიჟობისა ვერ—რას გეტყვი... სულელი რომ ვარ,  
ამაში ეჭვი არც თქვენ შეგდის, მით უფრო არც მე,  
გასაკვირველი არც ეს არის, რომ სულელი ვარ...

### (მღერის):

„ხარი ხართანო დაბმული  
ფერს იცვლის ანდა ზნესაო“.  
კულში რომ დასდევ მეფესა,  
მეც მღმივიდა ესაო.

### გიორგა მეფე:

ბევრსა ნუ ლაყბობ. მიქლს მე კაცი ენა—ტანტალოა;  
სიტყვით სხვას ამბობს და საქმით კი ნეტყობს სულ  
ბიბ—სხვას.

### ლ. ჯორჯი:

მაშ, მეუფეო, მაკლონალდი არ გყვარებია?  
(საერთო ხარხარი. მაკ ბრაზობს).

### მაკ:

მართლაც მასხარა, საქანელა და წოწიალა.  
ხან აქეთ არის და ხან იქით; ცვალებადია.

### ლ. ჯორჯი:

ფრთხილად, ყმაწვილო, თორემ თითი თუ დავსწი  
ქკკკოთ; —

მაგ შენი ცხვირიც მას მიჰბაძავს — ძირს დაეშვება.  
ყურუშსალო, მე გარგუნე, შენ გამარჯვება.

შენსკენ სასწორი გადმოვხარე და აგწი ზევით...  
ისე მიყვარხარ, რომ შეგითხზავ ლექსებს ექსპრომ-  
ტად:

მაკლონალდი, მაკლონალდი —  
ჟანგანი ბლაგვი წალდი.  
ყელს უმშვენებს დიდი ბანტი,  
კაცი არის ყალთაბანდი.

ეს ჩემი ლექსი თუ არ მოგწონს, აუხტი ზეგისა,  
მაგრამ ისე, რომ არ აუხტე შენს ჭიხსა ზემოდ.  
(სიცილ—ხარხარით მიღიან).

### მაკ:

საწყალი ჯორჯი! რით დაიწყო და რით ათავებს  
თავის ცხოვრების კარიერას ეს დიდი კაცი!

### II.

საიქიო, კერზონი გაკვირვებული ვადმოზ-  
ყურებს სააქაოს. ეტყობა ათვალეირებს ინ-  
გლისს და მის ახალშენებს.

### კერზონი:

ტყუილი არის, რომ იტყვიან: „ადამიანი  
სიკვდილის შემდეგ მოსვენებს საიქიოში“.

მე უკვე მოვკვდი; გადმოვსახლდი აქ საცხოვრებლ  
მაგრამ არა აქვს სულსა ჩემსა აქაც სიმშვიდე...  
აქაც არა მაქვს მოსვენება ჩემს სამშობლოზე:

ხან ეს ამბავი, ხან ის, ხან სხვა... ათასი ხათა...  
ჩვენი ბიჭები მთავრობიდან დაუფეროხიათ

და კაბინეტი კვლავ მაკლონალდს შეუღდენია,  
ეს ამბავია განსაცდელის წინამობედი.

სოციალისტი და მუშების ბელადი კაცი  
ინგლისს დაამხობს... ვაე, ვაი, რა გვეშველება?!

ველარ ეტევა დარღისაგან გული ბუღდში.  
ლამობს ამოჭტეს და გადახტეს ჩემს სამშობლოს

უნდა წავიდე, მოვიარო, ჩემი სამშობლო,  
ახალშენები ჩვენი ქვეყნის და ყველაფერი.

(გაფრინდება სააქაოსაკენ).

### III.

დედა-მიწის სხვადსხვა მხარე. ინგლისის  
ახალშენები. კერზონის აჩრდილო. პალეს-  
ტინაზე შეჩერდება და სიხარულისაგან სა-  
ხე უბრწყინდება.

### კერზონის აჩრდილი:

ნუ თუ მოჭორეს, მომატყუეს ასე სასტიკად:  
„მაკლონალდმაო შეადგინა ისევე მთავრობა“?!

შემოვიარე ყველა ჩვენი ახალშენები  
და ყველგან არის ძველებური მდგომარეობა.

ეს პალესტინა სევდიან გულს ისე მიხარებს,  
თითქოს ჰაბუკი ვიყო, ასე, ოცდახუთი წლის.

დაჰკათ ერთმანეთს, ებრაელნი და არაბნიო!  
გისურვებ ორთავ ერთმანეთზე გამარჯობასა.

სიამოვნებით დაიბანდი ხელბირს თქვენს სისხლში,  
მაგრამ, ვაი, რომ აჩრდილი ვარ მე უხილაგი.

მადლობა გამჩენს ყველგან არის ისევე ინგლისი.  
აღბად, მოჭორეს, მომატყუეს ასე სასტიკად:  
„მაკლონალდმაო შეადგინა ისევე მთავრობა“.





მს რკინის გზა, ჩან, მე მომხიდა,, ჯანს!..

..თუ ჯერ სხვისთვის უკვე არ მიგ'ცია...

ჩვენგან დაპრობილ, დამონებულ უამრავ ხალხებს, ის ხომ მისცემდა ცოტას მაინც თავისუფლებას? ასე იქნება, სწორედ ასე... ვაიმე, რა გქნა...!

IV.

მაკრონალი (თავის კაბინეტში):

ბღღვირი ვადინეთ ჩვენ გააგაში სწოულდენითა. ვინ დაიცავდა ჩვენს კაბინეტას აგრე ერთგულად?..

(გამოვა კერზონის მოჩვენება)

მოჩვენება:

თუშკა კარგად ვხედავ, მაგრამ მაინც შე არა შჯერა, რომ შენ ეგ იყო — მაკრონალი, ჩვენი მთავრობა.

მაკ:

ვინ ხარ? ხმა ისმის. ლაპარაკობ, თვით არა სჩანხარ. ღვთის გულისათვის ამიხსენი: ვინ ხარ? საიდან? თორემ შიშისგან ლამის არის დავკარგო შკუა.

მოჩვენება

ნუ გეშინია! არაობა არა იკარგვის.

მე კერზონი ვარ... ჰა, შემხედე... ეხლა ხომ მიცან?

მაკრონალი (მუხლმოდრეკით და ხელზე აპყრობით):

შამულიშვილის სულო წმინდავ, პატაოსანო, ჩემს მუღრეგ თავსა ღირსად არ ესცნობ თქვენი მადლობის.

მოჩვენება:

არა, ღირსი ხარ, პრემიერო, ნამდვილად ღირსი. მე შემეშინდა. გავიფიქრე: მაკრონალი-თქო, არ დაანგრიოს სახელმწიფო ბრიტანეთისა; არ აღადგინოს კავშირი-თქო „წითელ რუსეთთან“,

ახალდაბის კულტკომისიას გაასრახული აქვს ამ რამოდენიმე დღის შემდეგ მსოფლიო გამოფენაზე გაგზავნის თეატრის ფარდა, რომელიც პირველ ჯილდოს მიიღებს დახეულობაში.

ახალდაბის ხე-ტყის სახერხ ჭარხანამ შეჯიბრში გამოიწვია სხვა ჭარხანა, შედეგები ასეთია: ჭარხანის გაჩერება (ნელდი მასალის უქობლობის გამო) გაიზარდა 20 პროცენტით. დაზგების მტკრევა (სიძველისაგან) 10 პროც.ით მომავალში განზარახული აქვთ პროცენტების ბეგრად გადიდება.

ახალდაბის სასოფლო კედლის განუთის „მებრძოლი“-ს რედკოლეგია ღღეს იხლის პანაშვიდს, კედლის განუთის გამოუტყვემლობის ერთი წლის თავის შესრულების გამო.

ახალდაბის ქობ-სამკითხველოს გამგე ვკატერინე ბლიაძე აუწყებს მძინარა აღმასკომს და საბჭოს წევრებს: სამკითხველოს თავსახურის დაღობას და კიბეების უღროოდ დანგრევის.

ახალდაბის გოცნობას განზარახული აქვს ისევ აკრიფოს აღმასკომის მიერ დაგებული ქვა-ფენილი გზაზე. რადგანაც იგი ხელს უშლის მსვლელობას; მოელიან ბორჯომიდან ტეზნიკ ხუტუას, რომელიც დანგრევაში, ალბად, უფრო სპეცი იქნება, ვიდრე გაკეთებაში.

ტარკორი.

არ დაბეგროს-თქო კაპიტალი... მუშებს არა-თქო... დონალდი მაკ:

ბატონო ჩემო, განა, ღირდა თავშეწუხება, და ამისათვის აქ ჩამოსვლა საიქიოდან?!

ეგებ გახსოვდეთ, გაგეგონოთ ჩემი სიტყვები, (ეს იყო, როცა გამოსცვალეს ჩემი მთავრობა); მაშინ ვსთქვი: „ჩვენ კვლავ დავბრუნდებით მთავრობაში-თქო,

მაშასადამე, უნდა დავრჩე კიდევაც ღიღხანს, და ამისათვის თუ რა არის საჭირო, ვიცი: ტრადიციული პოლიტიკის კვლავ გავრძელება. მხოლოდ კი უფრო სისასტიკით, მაგრამ სიფრთხილით.

მოჩვენება:

დამშვიდდა სული, სული ჩემი, აღლევებულო. აწ მოვისვენებ, რაკი ვიცი, რომ დიდბრიტანეთის მისი ახალი პრემიერის მადლიერ ხელით არ შეერყევა ნიადაგი ძლიერებისა და კვლავ იმონებს მრავალ ხალხებს კვლავინდებურად!

მაკ:

მალაღმა ღმერთმა ნუ მოგაკლოს, ბატონო ლორლო,

სულის სიმშვიდე, მოსვენება და ნეტარება!...


მოჩვენება:

იყავ კურთხეულ უკუნითი უკუნისამდე!...

(მოჩვენება კრება).

ისკალი.





— პეტრეს რომ კაცმა შეხედოს, იტყვის: „საწყალი კაცი, რა მძიმე სამუშაოთი არის დატვირთული, რომ ასე მძიმედ გატენილ პორტფელს დაატრევსო!.. ის კი არა, პორტფელი მაქრით, სუხარით, კრენდილით და ხმელი ხილით აქვს „დატვირთული“!..

სენაკი: ძალღებისა და სანიტარული მისარ მურზას ბრძოლამ სერიოზული სახე მიიღო. ძალღების ბრიგადის შეფუთვითა ლორებისა და სხვა ოთხფენა ცხოველთა ბრიგადაც, ძალღებისა და ლორების ბრიგადის ხელმძღვანელობს დუდუჩავასი და მეცეკინწურიეშილის ლორები. ლორებმა და ძალღებმა გუშინ აიღეს სადგური. მურზა თავისი რაზმით უკან იხევს. ძალღებისა და ლორების რაზმი მიიწვეს აღმასკომისაკენ, სადაც მათ ხვდება მურზას მიერ ახლად შექმნილი რაზმი. ჯერ - ჯერობით მურზას მიერ მოკლულ იქნა მხოლოდ ერთი მურია ძალღი. ბრძოლა გრძელდება.

იქიდანვე. დამატებით გაცნობებით, შემდეგ: მურზას რაზმი უძღლორი აღმოჩნდა. მთელი ქალაქი ძალღებისა და ლორების ხელშია. მურზა აღგენს რაზმს, ამ მიზნით მან გამოიწვია 1927 წელს დაბადებულნი. დღეს ქალაქში სიწყინარეა. მხოლოდ ხანდახან ისმის ძალღების ყეფა და, ლორების ღრუტუნის. ამ მოვლენამ მურზა ძალიან დააფიქრა.  
მ. ველისპირელი.

### ვაი მის პატრონს!

უყურე ამ გლახის ჭირს, ეს ვინცა ჩანკაშია, რაფა ხვარხვალობს, რაფა იწყანება ის უბედური! გის იწვევს ჩხუბში, ვის, ის ძლიანია! ხომ არ უნდა ის დაპწილი კოსა სულ ღერღერ დაეაბღონა! ვაი, ჩემო დღეო, ასტეა, ვანა, საქმე! მოვიკვდეს მაშინ სილიბისტრო პიპილაძე, რომე სულ ვირთხასავით არ გაწრიბინო ის რაცა ჩანკაშია, თუ ჭაკი თხაი! რამ მოვიკიდებ ხელს, მუხიანის ხაბურძაკივით გავთხრეშ მუთაზე! იმას ჩემი ჩხუბიზა არ უყურებია!... შარშან მაისობას რომ ვიშიმვლე ხანჯალი და გაღაიერიე ამ ჯარ ხალხში, სულ ქათნას ქუჭულევივით მივრეკ-მოკრეკე ყველ: სამოცდა ჩვიდმეტი პაოლიციახარი მიპრაწავდა თვალებს, მარა ვერა შირ ნუ მომიკვდე!... ისტე გიყავ ან ხალხში დასობილი, რავაოც შეაკის სტოლმა! ჩხუბზე თუა საქმე. რეუბი ჩემი მოგონილია! მე რომ დევიბადე, იქიდანვე დევიწყე ქანჭკლი!... ერთხელ, თურმე, ფეხება რომ ეკოტავდენ აკვანში დევიწყე წიხლებს დრიგან - დრიგანი, სამი დღის ნაყიდი შიბაქი თლათ მარილივით დავფშენი! მერე დამესიენ, თურმე: დედაჩემი, მამაჩემი, ბიცოლა, ბიძია, ბებია, ბაბუა, ჯიმაღე, დედა, მამიდა; მეზობლები და რავარც იქნა შემკოკენ! ავი, პატარა რომ ვიყავ მაშინ, და ახლა გამიბედავს ვინმე ჩხუბს? ვაი, მანამ არ აღ-

ვა იმ ჩანკაშიის გვერდები, მანამ არაფერი ჭამა მისმა ღრანჭებმა! კაცს ორმოცდა ცხრამეტი ქალი მყავს მოტაცებული, ოთხმოცი კნიაზი გალახული, აზნაურს, ხუცესს, დიაკონს, მამასახლისს, ნაცვალს და მორჩიკს, ხომ ანგარიში არა აქვს! მე რომ ჯარში გამევიდოდი, ხალხი ერთიმეორეს აჯდებოდა შიშით! ერთხელ ჩემი ჩხუბის დროს ერთს ფოფოდიას მისთანა ვაჟის მუცელი წოუხდა შიშით, რომე ხუცესის ტირილმა თელათ გადააყრუა იქოურობა! თურმე, უბედურს თერთმეტ ქალიშვილში ერთი ბიჭი ძლივს მოეხლოაფორთეზია სიბერის დროს და იგიც ჩემის მიზეზით წოუხდა საწყალ ფოფოდიას! რაც მე ამბავი გადამხედა, ვერც ერთი ჩვენი უჩრეუდენიის საქმისმწარმოებელი ვერ ასწერს ერთ წოლიწადს, მე რომ იგენის მუშაობა გიცი, ვაი, ჩემო დღეო, რის მომსწრე ვარ, რა მინახავს და რაი არგადამხედა! ერთი წისქვილის ქეა არ დაბრუნებულა ჩემ თავზე, თვარა სხვაში ყორისფელში პიატი მიწერია! გამოსულა ავი ქიამკვდარა ჩანკაში ვარო, თუ ბუს კვერცხები და ჩხუბს გვიტებს! ვაი, რეიზა ღმერთი არ გაიციანებს, მარა რომ აღარავის სწამს ეს ღმერთი! იცინოს მისდა და იყოს, ვინ აქცევს ყურადღებას! ჩხუბზე ნუ წაგა საქმე, თვარა, იცოცხლოს სილიბისტრომ, მე იგი დავაუთოვო

გემოზე! გლახის ჭირი ჩანკაში კი არა, მისთანა დევივით ბიჭებთან მქონია საქმე, რომ იმ ჩანკაშიის ყორისფლიანა შეყლაპუდენ! ვაი, ჩემო დღეო, ვინ მიბედავს ლაპარაკს, მარა ჩვენი ბრალია ისტეგლე ყორისფელი! „არ გვინდა ჩხუბი, არ გვინდა“-ო, რომ გევიძახით, გეიგონა იმ კაცმა და იმიზა გეიწია პადიომში! არა, ბიძია, მაგი არაა მართალი. მეზობელმა რომ შემოგვიყვიროს, უნდა მოუყვირო შენც. შემოგაფურთხოს — შენც უნდა შეაფურთხო, თვარა უბირო ეგონები და იფიქრებს, რომე ნერწყვი არა აქვს პირში! აპა, რავა გგონია შენ!... მე, ქეც რომ მიაწიოს ამ ამბავმა ჩვენი მთავრობის ყურამღე. უნდა განოკტყდე, რომე ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციანე არ გავსულვარ, რაც მართალია, მართალია! იქინე რავა წევიდოდი, რავა გეკადრებათ! მე რომ იქინე წავსვულიყავი, ხომ მიუტანდენ ამბავს იმ ჩანკაშიის, რომე სილიბისტრო პიპილაძე არ კისროლობს ჩხუბსო! არა, ბიძია, მე რომ ჩხუბზე ვარს ვიტყვი, მაშინ კეტარი ვიქნები! არ შეგჭამოს ჭირმა, რომე სილიბისტრო პიპილაძემ მაგი არ ქნას! თუ ბიჭია, მევიდეს ის ვინცა ჩანკაშია და ვნახოთ გინ გეიტანს ლელოს! ისტე დოუშილო ის გვერდები, რავარც ღომის-ლომი! მაგას რომ უნახავს იგი... ის არ ვეგონო!... სმოლოჩ მის საქმეს!...  
გოგია.



# „პასუხისმგებელი მუშაკი“

# ც რ უ მ რ ჯ მ უ ნ ი



— ამხანაგებო!—ლაპარაკობს „მსუბუქი კავალერია“, დაახლოებით დღის 10 ნახევარი საათი იქნებოდა, როცა ჩვენ ვეწვიეთ ს.პ.კ.ს. კულტურ-ანყოფილებას, შოგ არავინ დაგვიხვდა („სხდომაზე“ თუ იყვნენ), მაგნიტებიდან ოქმები „პერპრიზონულად“ გამოიყურებოდნენ, იქვე იდგა ცალკეურდა ჩსაფურთხებელი ყუთი, რომსაც ალკოგოლის „წინააღმდეგ“ მკურნოლ „პროფრაბოტინის“ მოგზაგონებდათ. კარებთან ცალფეხა სკამს ეყვინთებოდა „ფხიზელ“ მილიციელივით და აგრეთვე იყო შკაფი, შკაფი საესე „საქმიან“ რეზოლიუციებით, რომლის კარებიც ისე გამოიყურებოდა, სამოქალაქო ომის ინვადილს ჰგავდა. კეილებიდან პლაკატები ისე გამოიყურებოდა, როგორც დღუნაკლული ბურჯკრატი წმენდის წინ.

— ქალო, აქა სწერია: „თუ ცოლი დალატსა ჰფიქრობს, თავზე სარქვე ადგილები გქაოდებო. მეც ავერ ერთი ხანია სწორედ ეგ ადგილები მქავა...  
— მში.. ტყუილია, არ დაიჯერო! ეს რომ მართლაც ასე იყვეს, ამდენ ხანს რქებს კიდეც უნდა ამოეტება!..

და იატაკზედაც ეყარა უთვალავი, რა? რეზოლუციები და ტრაილებდა ატმოსფერია სცვიფიური...

შემაღლებს კარებს ერთი სუბიექტი. ჩვენ ვვაგრძნობინა მისმა „მქერ-მეტყველურ“ განცხადებამ და ფიზიანოშია, რომ იგი არის „პასუხისმგებელი მუშაკი“. ჯდებდა მავიდასთან, იღებს ბლოკნოტს, სწერს რაღაც უმნიშვნელოს. პაუზა... შემდეგ თავს ასწევს, შემოგვხედავს და ისევ განაგრძობს „წერას“, „წერას“ საქმიანსა და „მნიშვნელოვანს“. დაფიქრება აღიბეჭდა შუბლზე, რომელიც მყუდრობელს არწმუნებს, რომ ის შუბლი ცენტრია აზროვნებისა და კულტურეოლიუციის... ტელეფონის ზარი რეკს... ალო! გისმენთ „კულტორტ-დელ“ სოვროფა... გავარიტ... და.. არ მცალია მეგობარო, ჩერეზ პოლჩას უ მებია სავეშჩანიე... დაჰკიდებს მილაქს და განაგრძობს წერას... გაილო კარები, შემოიბრის, სუნი დუხისა და სხვა ამდაგვარ სურნელების... რომელსაც შემოყვება მანდილოსანი ექსტრაორდინალურ პოზით და მორთულობით...

— მერე რაო!  
— თათბირი გვინდა მოვიწვიოთ სოფლად კულტურეოლის შესახებ და თქვენი დასწრება სავალდებულოა, ამხანაგო.

— მეტი არაფერი?.. დავსწრები, თუ დრო მექნა... შენ რა გინდა?  
— მეც ამავ ასოციაციიდან ვარ და წესდება გვინდა შევადგინოთ კლუბებში ლიტერატურულ მუშაობის შესახებ, — თქვენთან შეთანხმებით.

— ჩვენ, ამხანაგო, უკვე შევადგინეთ ეგი...  
— ეს ჩვენთან შეუთანხმებლად?  
— ვინ ხართ, კაცო თქვენ, თქვენ არ იცით, რომ პროლეტარული მწერლობა სადაა?..

— მე, ამხანაგო, ის ვარ, პიესა რომ შემიკვეთეთ დასაწერად, მე იგი უკვე დავსწერე... ესლა როგორ მოვიქცე!  
— ახლა დაჯექი და იკითხე... ვინ ხარ შენ, ამხანაგო?

— კომკავშირელი მწერალი.  
— ჩვენ ჩემო ძმაო, სერგო კლდია-შვილს ვაწერებთ, რა უყვით, რომ ჯერ არ დაუწერია, ავანია აქვს ადებული 200 მან. და რა გზა აქვს რომ არ დასწერს?

— ჩემი პიესა თქვენ ზრ წაგიკითხავთ...  
— არც წაგიკითხავ, ამხანაგო, გესმით? თქვენ ვერ გიცნობთ და რა საჭიროა თქვენი ნაცოდვილარის კითხვებში დროის დაკარგვა.

— ამხანაგო დღეს „პრასმოტრი“ გვაქვს, უნდა დაეწეროთ.  
— რის „პრასმოტრი“ ბალეტის?  
— არა, უმუშევარ აქტიორთა კოლექტივის.

— მოგცლიათ ერთი თქვენ, ა ხომ ხედავ ავერ „ღმერთიკით“ ქალი მელოდება—მისი „პრასმოტრია“ დღეს

და რომ არ დავესწრო, ეს საქმისადმი გულგრილობის გამოჩენა იქნება.

მშვიდობიანად ჩატარდა მომღერალ ქალის საჩვენებელი კონცერტი. მოაწონეს. მიულოცეს. მისცეს „ვიზა“ და თან დასძინეს: თქვენ უსათუ-ლო საჭირო ხართ მუშათა კლუბებში-საღვს. თქვენი რეპერტუარი ყოველ-მხრივ გამართლებულია, როგორც დეოლოგიურად, ისე მხატვრულად... გაიდა ხანია... მომღერალი ქალი მეშვიდე თუ მერვე კონცერტს მართავს ერთ-ერთ მუშათა კლუბში...

აქაც დიდი ოვაციებით ხვდება მუშათა აუდიტორია მომღერალ ქალს. „პასუხისმგებელ მუშაკს“ რაღაც აწუხებს, შფოთავს, ვერ ისვენებს, თან ასე ფიქრობს: კაცმა ყოველივე ღრით და გარემოების მიხედვით უნდა ისარგებლო. და ერთ მშვენიერ დღეს ეგი კატეგორიულად უტყბდებს მომღერალ ქალს:

— ამალამ თქვენ ჩემთან წამოხვალთ ფუნეკულიორზე, — კარგი ჰაერია... (ალბათ სიყვარულს სოციალისტურ შეჯიბრში იწვევს).

— ეგ საკენკი თქვენ ქათმებს დაუყარეთ... — უბასუხებს ქალი.  
— მე მსურს და ასეც იქნება... წინააღმდეგ შემთხვევაში მე თქვენ არ მოგცემთ კლუბებში კონცერტების გაართვის უფლებას...

ასეც მოხდა... აკრძალეს მომღერალ ქალის გამოსვლა, რადგან მისი რეპერტუარი ყოველმხრივ მიუღებელი გამოდგა, როგორც დეოლოგიურად, ისე მხატვრული თვალსაზრისით!

ბეგონი ირია თვალსაზრისი. მაგრამ საინტერესოა ამ საქმეზე მუშათა და გლეხთა ინსპექციის თვალსაზრისიც!  
**დონ-კიხოტი.**

პირველ შეხედვისთანავე შეატყობთ, რომ ეს უთუოთ მომღერალია, ან „ბალერინა“, რომლის შემოსვლამ გამოიწვია „პასუხისმგებელ მუშაკის“ სწრაფი ნაბიჯით კარებისაკენ წასვლა.


— ამხანაგო, ჩვენ თქვენთან ვართ, — ვეუბნებით ჩვენ.

— არ მცალია, ამხანაგო, „პრასმოტრიზე“ მიმეჩქარება... შემოიარეთ ხვალ.

— ხვალ ჩვენ არ გვცალია.

— თქვენ არ გცალიათ, მე სულ არ მცალია... ვინა ხართ თქვენ?  
— ჩვენ პროლეტარულ მწერალთა ასოციაციიდან ვართ. უპასუხებს ერთი.





— ეი, შენ, მოქალაქე, ამ სიმაღლეზე რისთვის ასულხარა?  
 — სადღაც აქ ამ უბანში ქარხანა არისო. მე კი ღურბინდშია ცერ  
 ღაფინახე ის...

### მარის გასაჭირი

(სწორი აღებულება)

რა ავანსი იგღო მარიმ,  
 ქიწაზე არ უღვას ფეხი,  
 უქრობს: „მაცათ, ჩემო მტრებო,  
 დაგათბლიშოთ თავზე მენი!“  
 პასაჟისკენ გაეშურა,  
 მუნ მუშკობის მალაზია.  
 სუქვა: „ვიყიდო ტანსაცმელი,  
 არაფერს არ ვნახავ ზიანს!“  
 შეიძინა ლაქის ტუფლი,  
 (ხომ არ ივლის, აბა, ქოშით?)  
 ერთი წყვილი ხელთათმანი,  
 და რეზინის „მაკინროში“  
 სუქვა: თუ: „უნდა ქმარს ვუჩვენო,  
 რომ განმტკიცდეს ტრფობა ჩვენი,  
 ნახოს ერთი, ტანზე „პლანში“  
 ფეხზე ლაქი როგორ მშვენის!“  
 პა, მივიდა და ამაყად  
 ქმარს მიჰპარათა: „პროშუ, არსენ!  
 დაჰკრა ფეხი: უცებ ტუფლი  
 გადისლიჩა ზედ შუაზე!“  
 უცქერს მარი სინაულოთ:  
 „დამბალია, ალბად, ლაქი!“  
 დაიხარა და... მოერღვა

პლაშის სახელო და ფოლანქი.  
 გადააწნა თითი - თითზე:  
 „ეს რასა გავს, ჩემო თაო!“  
 და თითები ხელთათმანიდან  
 გამოსცივიდენ სათითაოდ...  
 „ეხლა რა ვქნა?“ და მტრალე  
 მოსხლეტით სკამზე დაეცა.  
 ლაწ! — და სკამი მარელისის  
 ნაჭუჭივით გაიღეწა!  
 აქ კი ეძვრა საწამლაგს:  
 „სასიცოცხლო არ მაქვს პირი,  
 უნდა მოვკვდე და სიკვდილით  
 მოვიშორო გასაჭირი!“  
 შესვამს, ეტყვის ქმარს: მშვიდო-  
 ზით!“

და ლოვინზე მიეგდება,  
 ვადის დრო, და ვადის ხანი,  
 მაგრამ მარი არა კვდება!  
 ელის სიკვდილს, ელის დიდხანს,  
 უცებ.. ღმერთო, ეს რა არი?!  
 საპირფარეშოსკენ გარბის,  
 საიქიოს ნაცვლად, მარო!  
 მაკროშა.

ყველაფერს ვიფიქრებდი კაცი,  
 ჯანდრის სოციალისტობას, ეფისკო-  
 ბოზის ტერორისტობას და ბებია ჩე-  
 მის გაცოცხლებას, მარა თუ ქალები  
 თმებს შეიპარცადენ, ეს კი აღარ  
 მეგონა სწორედ. არა, ყველაფერი  
 უცნაური მოდა რომ უწინ ქალებმა  
 უნდა შემოიღონ, იგი მაკვირვებს  
 სწორედ. ჯერ იყო და დეიწყენ კა-  
 ბების დამოკლება და იქამდინ ამოკ-  
 ლენ, სანამ მუხლის კვირისტაგს არ-  
 შინით არ დააშორეს ზემოდან. მერე  
 მიადგენ კოფთას და მანამ არ მეეშ-  
 ვენ, სანამ შიშველი მკლავები და  
 გულბოყვი ვისტავკაში არ გამეიტა-  
 ნეს. ბოლოს, რომ ვეღარაფერი ნახეს  
 დასამოკლებელი, ცვენ თმებს და  
 სულ ძირს დაფინენ ეხეკას კოი-  
 დარით. ახლა კი დაკვირვება გინ-  
 და კაცს, რომ გამეიტნო კაცებში ქა-  
 ლები, ისე არიენ თავ შეკრევილები.  
 აფსუს რა დრო დადგა! უწინ ქალი  
 დიდი თმით ფასობდა და კაცი კადე  
 გბელი უღვაშებით. ახლა კი სადღა  
 ნახავ ასეთებს! ხო, იმას მოკანსე-  
 ნებთ, ამ ახალ მოდას აღარც ჩემი  
 ალათია! ჩამორჩა. ერთ დღეს ჩაპი-  
 ლაპარაკა: „მთელმა ჩვენმა პეზობ-  
 ლი! ქალებმა შეიპარცეს თმა და  
 მე რა იმათზე ნაკლები ვარ, რომ  
 გრძელი თმით ვიარებო!“

— ნერე გინ გეუბნება უაოშ. მო-  
 შიტანე მაგრატელი და სამარიტე-  
 ლის ცხვარივით გაგკრიჭავ —მეთქი!

— სამარიტელის ცხვარაკით გასა-  
 კრეჭე შენი ღებია და ისინი გაკრი-  
 ქე, ხოლო მე კი მანეთიანი მომე პა-  
 რიკმანერს უნდა გავაპარცავო.

ვიცოდი მისი ხასიათის ამბავი:  
 უარის თქმა ჩემი თავის გატეხათ  
 დამთავრდებოდა და მივეცი ფული  
 იმ ფიქრით, რომ მისი გული სემუ-  
 დამოდ მონადირებული მქენებოდა,  
 მარა არ შეგქამოს ჭირმა. აო გასუ-  
 ლა ერთი კვირა და მეუბნება: „კის-  
 რის ამოსაწმენდი ოთხი აბაზი დაამ-  
 ზაღევო“.

— კისერს რაღა სიკვდილი დე-  
 ვმართა-მეთქი.

— რა და ახალი თმა ამევაღა და  
 თუ არ გავაწმენდიე პარიკმანერს,  
 სტრიქა დამიუშნოვდებო!

ახლა საგონებელში ვარ ჩივარდ-  
 ნილი: ყოველ კვირაში რომ ოთხ-  
 ოთხი აბაზი ვაძლიო, თვეში კაი  
 თექვსმეტ აბაზს გამოუყვანა წარ-  
 ვას, ხოლო წელიწადში კი ჩერვონ-  
 ცუსს. ხო და ახლა ნუ შეუტყუარხებ  
 ამ სტრიქის მომგონს, რომ ლეპმაც  
 გადარიენ ქალები და უფრო მეტად  
 მათი ქმრები?!


კირილე საფინიხილი.



# გ ა კ ვ რ ი თ

(ჩოხნათაშრისათვის)

შერცხვნილი ვიყო ყველგან,  
 თუ უმართლოდ ვინმე ვძრახო,  
 ან თუ პირად მტრობისათვის  
 გულში შური ჩავისახო.  
 ერთი კია, მარა რა ვქნა,  
 როცა დამყვა ესრედ ჯიში,  
 და არც არვის — არ მაქვს შიში.  
 დე, იმუქრონ.. ვისაც-კი სურს,  
 პულამ მზად ვარ გავყვე „ღუღელში“  
 არც ენების მეშინია,  
 ფუთობით რომ ზიღონ ხვრელში...  
 დიან, ეხლა აღმასკომზე  
 მიწვევს უღნავ კბილთა კრეჭა,  
 საქმეებს რომ აცოდვილებს...  
 უყვარს მისი დიდხანს ლეჭა  
 (კარგი არის, რომ ამ ბოლოს  
 გზები მაინც მოგვიკენჭა!..)  
 დაბას ფერი შეუცვალა,  
 (რაც არ გვახსოვს თავის დღეში),  
 წინეთ თუ რომ ლაფი იდგა,  
 ეხლა ქუჩებს ამკობს ხრეში!..  
 ბაზარს თავში თეატრი აქვს  
 და ბოლოში შეენის კლუბი,  
 აწ საშიშიც აღარ არის,  
 აფთიაქში მოხდეს ჩხუბი...  
 მუშტით მჯობნი, ვერ გავიგეთ;  
 გამგეა, თუ ფარმაცევტი,  
 (აღბად „წმენდა“ გამოარკვევს,  
 რომელია ვასახვეტი!..)  
 ბანკშიაც-კი „სახიფათოს“  
 რაღაცაებს მოვკპარ ყური,  
 ვითომ ჩუმად ჩაეყლაპოს,  
 ყოფილ გამგეს „ნიშადური“,  
 მარა როცა მოხდა კვლევა  
 და ეს დარჩა მტრობა-შური,  
 ყოფილს დიდი მადლობა და...  
 მყოფს ამოცნეს ნიახური!..  
 მარა მაინც აირია საქმე  
 ბანკის, არის მწარე,  
 (ძალი პატრონს ვერ ცნობილობს  
 რომელია თავმჯდომარე!..)  
 — შეჯიბრშია ორი „ეპო“,  
 ვერ ეტევა თავის კანში,  
 სეფე თუ აქ „იკრემლევა“,  
 არჩილ ცეკვობს ხილისთავში...  
 მეცინება... მეგობრულად,  
 რომ თვალთმაქცობს არჩილ სეფეს  
 და პრესტიჟის ასაწევად,  
 ზოგ საქონელს აიაფებს!..  
 — „მუშაკები გადიდკაცდენ...  
 აღარ რეცხდენ ჭიჭა-კოვზებს  
 და სადილს რომ მოათრევენ...  
 სწევდენ გრძელ-გრძელ პაპიროსებს.  
 თუ ბიჭი ხარ, შენიშნავდი,  
 ან ეტყოდი „მსგავსად“ ისეთს,  
 თვალის ბლევრას ვინ ჩიოდა,  
 თუ მთლად არ მოგტენდენ კისერს!.  
 ხალხი, „ბორშით“ განასუქი,  
 აღარებდენ თავს ძველ მეფეს  
 და ერ თხელად შენიშნისთვის,  
 კილაჰ სცემეს თავში სეფეს!..  
 ვაჭრობა-კი დიდი იყო,  
 ჰყ.დდენ; ღვინოს, ხორცს თუ ტა-  
 რანს,  
 მარა „ეპო“-ს ბუჰვალტერი  
 მუღამ სწერდა წიგნში ზარალს!..  
 ამიტომაც „მუშაკებთან“,  
 ორ გამგეს იქ: ბარნაბ, ილოს,



უქნენ წოწი... და ბოქლომი  
 ჩამოჰკიდენ სასადილოს!..  
 ეხლა, კერძოთ იორდანე,  
 ბარნაბობს და კიდევ ილობს,  
 „სწუხს“ ნამეტანს... ან-კი რა ქნას,  
 ყველანი რომ იქ სადილობს?!  
 — ამბობენ, რომ „ვითომ“ გყავდეს,  
 ჩვენ გლენჯორი, კუჩით მოკლე,  
 (ვერ გავიგეთ ვინაობა,  
 თუ მიხვდება.. ისევ პროკლე...)  
 ვითომ ისე გათამამდა...  
 (მთელი დაბა ჩივა ამას),  
 რომ ჭორებზე იყოს ჯიღლო,  
 შვილს ეკუთვნის, ვინმე მამას!..  
 რას დავეძებ ამ ბედოვლათს,  
 ჭორის გულს, როგორც ასეთს,  
 რომ მკითხველს არ აძულებდეს  
 ტყვილებით — ყურნალ-განეთს!..  
 (მგონი, გუშლამ ამისათვის  
 წრიდანაც-კი გამოავდეს...)  
 — საწყენია „პაწა“ კაცი  
 რომ გადიდა... გახდა კუხა,  
 აღარ ახსოვს ლეკის შალის  
 მოსვლის დროს რომ ეცვა „ბლუზა“?!  
 ვით აფხაზი, თავწაკრული  
 იყო ნარმის ყაბაღაზით,  
 და დონ-კიხოტს უფრო ჰგავდა,

ვინმე „თვის თავს“ ერთის ნახვით!..  
 ეხლა, როცა „შტაცკათ“ იცვამა  
 და „ბანამის“ ხურავს ქული,  
 როცა უკვე „კოსტუმებათ“,  
 ხან ტრიკო აქვს, ხან მაული,  
 „მკლავზე უმსხვევს“ მათრახს  
 იკერს,  
 ვით ტარიელ დახტის ცხენით, —  
 დაავიწყდა თავაზობა...  
 ლაპარაკობს სულ სხვა ენით!..  
 „ვინც მეტს მომცემს, მას მოვარჩენ,  
 შეუყვირებს ასე გლენებს, —  
 ვინც არა და... რას დავეძებ,  
 გაწყდეს ყველა ამ ჩემს ფეხებს!..  
 ხოდა, ჩემო ტარტაროზო,,  
 გეხვეწები ამას ძმურად,  
 აეტუზე „რაინდა“ გვერდით  
 ისე რაღა! შენებურად,  
 და უბრძანე: ამხანაგო,  
 არ გარგია ამაყობა,  
 არც „გაქცევით“, დამუქრება,  
 არც უსომო ტრაბახობა.  
 არ წააგებ თავდაბლობით,  
 მომაკვდავს სძულს კაცი-კუზა...  
 ტყავს ნუ აძრობ ღარიბ გლენებს,  
 გაიხსენე ძველი „ბლუზა“!..  
 წაველა



# მოსწრავული პასუხი

# წყლის საკითხი თბილისის სის ზოგირით სახლებში

# უსტარი საიქიოდან

ძმაო ქაიხოსრო! ჰაი, შე ყურბუსალო შენა?! ქე კოლოდვერი ამ ჩისტკას, აჰ?!... თუმცა ჰო, პარტიის წმენდის დროს შენც ქე მოყევი ჩემთან ერთად სანაგვე ყუთში, მარა ამ აპარატის წმენდას რაფერათ გოდოურჩი, სწორეთ ძალიან მაკვირებს, შენ ნუ მოუქვდები ჩემს თავს.

მე, რომ თვითმკვლელობა ჩევიდინე, ამ ერთი კვირის წინეთ, შენც ქე მოკრავდი საცხა ყურს (თუმცა ჩემი ცოლის გადაძვიდე ქე, რას გეიგებდი, რავაც გადმომცეს რიმიგტონზე დოუბეკდა თურმე ჩეჩე სამგლოვიარო განცხადებები. ჰო და, ასე, საცხა მაინც მოკრავდი ყურს, ჩემო ქაიხოსრო, ჩემს უბედურე... არა უბედურებას კი არა, ბედნიერებას.

მომიარა ხოშმა, ჩემო ქაიხოსრო, ვბრიგე ამ ჩემ ღურაკ თავს ლიგერველი და მომენტალნათ, უბერესიტკოთ თავი ამოყყავი აქ, საიქიოში; ჯერ იყო, შე კაცო, და ეს გაშანშალებული პარტილეთი ქე ამაშვლია გამწმენდმა კომისიამ.

რაცხა ორი სახლი ვიცილე ამას წინეთ ქალაქში... ჰო, კილე მოჯამაგირეები რეჩა გყავსო. სულ ეს იყო და ეს ჩემი გაწმენდის მიზეზი; რა ნახეს, შე კაცო, ჩემში?! ცული? ჭონება შეეიძინე, ხომ არ დამიკარავს რამე?! თუმცა მართალი, რომ სთქვას კაცმა, არც ძალიან მწყყნი პარტილან გამოგდებ, მომსპო, კაცო, ამდენმა კრებებმა. გელევიორე კაცი. ქალღმბში საკვინტრიშო დრო სულ აღარ მჩებოდა. მარა, ვინ ვაკმარა ეს წმენდა? დეიწყო აპარატის ჩისტკა, ამიხირდენ იქაც: რაცხა ძველათ გაფლანგული ფულები მქონდა, იმ უჩრქედენიეში კი არა, სხვაგან. გამიხსენეს ურცხვით ძველი ცოდვები, მაინც რაფერ ურცხვით გამოლოდენ ჩემს წინააღმდეგ? ერთმა, კაცო, პარტწმენდის დროს გვერდში ამომიდგა კაი მეგობარივით და მოყვა ჩემს ლანძღვას ხო და, იმას ვამბობდი, იმ აპარატის წმენდაშიაც გამომპანდურეს, არც სალიკვიდაციო, არც კამანდიროვოჩნი, არც საკონფესაციო... რალას ვიზამდი? მეტი გზა არ იყო, მივაღდექი შრომის ბირჟას. არ ვასულა სამი დღე და იქაც ქე არ გამოცხადდა წმენდა- ეს კრუგომ გაჩისტული ადამიანი აქაც გამჩისტეს, რალას ვიზამდი გელევიორე კაცი თლათ, შევიბრიტე ქეჟიდან, მიგარდი სახლში გაგეყებული. ცოლმა რომ გეიგო ეს პასლენდი ჩისტკაც, კინწის კვრით გამომადლო გარეთ. მეტი რალა საშველი იყო, როგორც ზევით ვწერდი, ლევერგელის ტყვია შიგ კეკალ შუბლში დევიხალე. ახლა ქე ვარ აქ ჩემთვის არხენისთ და ვაყვლიბინებ თვალებს.

შაკო

**ჟაკტი.** (საქ. ბინად - კავშირს) კაცო, პარტიისტკა რომ არ ყოფილიყო, სანამდე უნდა გყოლოდა აპარატში კონტრრევოლიუციონური ინსტრუქტორი — დუნდუა, რომელსაც მენშევიკების დროს 5 კომუნისტი დაუხვრეტია?

**ბინად - კავშირი.** ამხ. ჟაკტო. ეს კითხვა წმინდა პოლიტიკური ხასიათისაა და, ჩემის აზრით, ამ კითხვაზე კომუჯრედმა უფრო უნდა გიპასუხოს, ვიდრე ბინათ-კავშირმა.

**ჟაკტი (მასვე)** თქვენა გყავთ ოთხი ინსტრუქტორი, თვითეულ მათგანს აძლევთ თვეში 150 მანეთს და ტრამვაის წლიურ ბილეთს უფასოდ. ახლა გვიპასუხეთ: თქვენმა ინსტრუქტორებმა საქმის წარმოება იციან?

**ბინად - კავშირი.** არ იციან, მაგრამ მაინც ატყობენ. საქმის შემოწმებას პრაქტიკულად უღებთან. მაგალითად: გუშინწინ ერთმა ინსტრუქტორმა მომახსენა, რომ ამა და ამ ჟაკტში უკანასკნელი თვის საქმეები ჩაუკერებელი არისო.

**ჟაკტი (მასვე).** თქვენმა ინსტრუქტორებმა ანგარიშწარმოება იციან?

**ბინად - კავშირი.** რა თქმა უნდა, ანგარიშწარმოებისა და ბუღალტერიის არაფერი გაეგანათ რა, მაგრამ ყოველთვიური ბალანსები, რომელთაც ჟაკტებში ადგენენ, ინსტრუქტორებს თავის დროზე მოაქვთ ბინათ-კავშირში ჩასაბარებლად და სწორედ ტრამვის უფასო ბილეთებიც ამიტომ ეძლევათ, რომ გამოგზავნილი ბალანსები თავის დროზე ჩამოიტანონ ჩვენამდე. თუ გინდათ, ერთი წუთით დავუშვათ, რომ ინსტრუქტორებს არ მივეციტ ტრამვის უფასო ბილეთი და ის წამოვიდა ფეხით, მას დაეჯახა ავტომობილი და წააქცია გზაში. ამ დროს ხომ შეიძლება, რომ პორტფელიც ხელიდან გაუვარდეს და ჟაკტიდან წამოღებული ბალანსიც გაიბნეს სადმე? აი, ასე პრაქტიკულად უღებთ ჩვენ საკითხს.

**ჟაკტი (მასვე).** თქვენ დაგვირიგეთ ჟაკტებში წიგნები, რომელშიაც თქვენმა ინსტრუქტორებმა თავიანთი მითითებანი უნდა ჩასწერონ ჟაკტების სახელმძღვანელოდ; შეუძლიათ თუ არა თქვენს ინსტრუქტორებს, რომ ეს ზოგადი ოპერაცია მაინც გაეკეთონ? არა აქ საწყენი არაფერი უნდა იყოს, მაგალითს მოგახსენებთ: ერთხელ თქვენი ინსტრუქტორი გვეახლა ჟაკტში და თავისი მჭერმეტყველი მითითება ჩავიწერა ჩიგნში. ჩვენც მოვიდომეთ ჩანაწერის წაკითხვა, მაგრამ არამც თუ ჩვენ, თვით გამგეობის რამგვლომარემაც ვერ წესდლო გარჩევა და წაკითხვა



(გამოცანა)

ქვეით შხუის,  
ზევით სტუის!...

ბითითებისა. ბოლოს ვსთხოვეთ ინსტრუქტორს: შეიძლება თქვენ წავეკითხოთ-თქო. მაგრამ, საუბედუროდ, ველარც თვითონ გაარჩია თავისი ნაწერი, რამაც ის ჯერხულ მდგომარეობაში ჩააყენა, ალბათ, რომ მითითება, რომელზედაც ორი საათი ბილია, ამოხია და დახია, ხოლო სარევიზიო კომისიამ ეს ამოხევა ჩვენ დაგვებრალა და კინალამ მთელი ჟაკტი არ დაგვიტარა.

**ბინად - კავშირი.** ამხ. ჟაკტო! რაშია საქმე? ჩვენს ინსტრუქტორებთან თქვენ რა ხელი გაქვთ? ბოლოს და ბოლოს ასედაც უნდა იყოს, რომ ინსტრუქტორებს უფრო ნაკლები უნდა ესმოდეთ, ვიდრე ჩვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ორგანდელსაც კი მოუნდომებენ ხელმძღვანელობის გაწევას.

შაკატორი.





# ახალდაზის სატყეოში

სოფელ ახალდაზაში სატყეოსა განაგებს სკელი ჩინოვნიკი და ნიკოლოზის მოხელე გენვეწები ტარკორო, ტარტაროზო, ჭირიამე, დავავალე, ჩამოდი, კარაშეგოვს მოხედე.

უპატრონოთ გაუშვა საკურორტო სახლები, ოზრდებიან ბაღები და ისპობა ხეხილი, მიხეილი არ ჯავრობს, რა ფეხებზე ჰკიდია, თუ დასჭირდა, მიუტყა სახლში მას დაკრეფილი,

საქმეს აჭიანურებს, გლეხებს აცდენს ხელობით, ზოგჯერ ყვირის კიდევცა, უყვარს ჩხუბი-„კამათი“, მიხეილიმ გასულ წელს თავის „დიპლომატობით“, აზარალა სატყეოს ხუთასამდის მანეთი.

იქვე მას მხარს უმშვენებს ბუოლტერი მჭედლიძე, გლეხებს ისე უკვერის, როგორც მონას ბატონი, ცუდლუთია საქმეში, არაფრისა მაქნისი, მოსცხე ისე ჩანგალი, დაინახოს „კანტონი“.

საშაც მოვინახულოთ, მათი თანამშრომელი, ქურდაძეა გვარადა, ლოთი, გადარეული, გერ ოხილავთ მას ფხიზელს, დადის მთვრალი დღე და ტარტაროზო, ამოსცხე ეგ შენი რქა ქებული.

ტარკორო.

# სოველიან პენსია

გამოცდების როგ ბათავდა სერია



თავო ჩამო, ბედი არ გიწერიან!..

# მოგავალი სტუდენტობა

(გამოცდებზე)

ცხელა... საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში აუარებელ „სტუდენტებს“ მოუყრიათ თავი (ნახევარზე მეტი პორტფელიანი ხალხი ურევია, საპროტექციოთ მოსულეები).

სიცხე ისედაც ტენ - გაცხელე-ბულ სტუდენტებს უფრო უცხელებს თავებს.

— ამბობენ: ძალიან დიდი კონკურსი იქნებოა, მართლათ? — შევეკითხე ერთს.

— კონკურსი, ბიძია, ჩვენში კი არა, ამ პორტფელიანებშია, ერთმანეთს ეჯიბრებიან: ვინ ვის მიღები-ნებს.

ვათვალეიერებ შორიდან საგამოცდო აუდიტორიას. არის ერთი ვაი უშველბეული და ღრიანცელი...

— რა მიიღე, ბიჭო? — ეკითხებიან გამოსულს.

— ხუთი... — ისმის მოკლე პასუხი.

— რა მიიღე?

— ხუთი!

— რა მიიღე?

— ოთხი! — არავინ ცუდს არ უსურვებს“ თავის თავს, ყველა „ხეის“ ყვირის, ალაპა უწყის, სწორეა თუ ტყუილათ იძახიან.

„ბოროტი ხმები“ დადის, თითქოს პირველ დღეს 220 სუსტი დაიწერა მართო მათემატიკურ საგნებში.

— არ ვიცი, სწორეთ ვილამ მიაღო ეს სუსტები—შევეკითხე ერთ „მსუბუქ კავალერისტს“.

— ისეც აუშენდათ ცხვირი მათ... ნახევარზე მეტი იჭრება და მაინც „ხუთებს“ იძახიან.

— რა მიიღე, ამხანაგო? — ეკითხება ერთი გამოსულს.

— რა მივიღე და ფლავი!

— როგორ, ჩაჯექი თუ?

— ვინ დამაჯენდა, ბიძია, იქ! რო დამდეს ქონიან ნიჩაბზე, სრიალით გამოვარდი ვარეთ.

ეს იყო ერთად ერთი, რომელმაც სრული სიმართლე აღიარა, რისთვისაც მას დიდი ავაციები გააუშარათეს.

ნივდივარ ქართული ენის კაბინეტსაკენ. იქ საერთო გამოცდაა ქართულ წერაში. იქიდანაც ყველა „მხიარული“ გამოდის.

— რა თემა დასწერე? — ეკითხები ერთს.

— ნამეტანი ზორბა თემა შემხვდა, „კეკალი“ ხუთი დამიწერა...

— ფხუუ... — წამსკდა სიცილი.

— ბიჭო, ასე ჩქარა როგორ გადაათვალეერა ნაწერი?

— ნაწერს ერთი შეხედვითაც შეატყობენ, ძამია...

— ისე აგიშენდა ოჯახი — ვფიქრობ გულში — ჩვენი ცხრა წლედ-დამთავრებულეების ნაწერს ერთი შეხედვით კი არა, სამი დღე რო უტრიალო, ასოს ვერ გაარჩევ.

— არა, მაინც რა დასწერე — ეკითხები ისევე. დამაინტერესა მისმა „ნიშნა“, რომელსაც ავანსათ „ხუთი“ დაუწერეს.

— რა და აღ. ყაზბეგის „ელისა“-დან იყო თემა. ავდექი და მთელი კინო ნანახი სულ ქალაქდზე გადმო-სწერე.

— ჰოო... ალბად შიტომ დაგიწერეს „ხუთი“. ბიჭო, მაგაში ხუთს ვინ დაგიწერდა? — როდის იყო, რომ სსკინმრეწვის გადაღებული აურათის შინაარსი და ნამდვილი მოთხრობის შინაარსი ერთმანეთსა ჰგავდა?

— წაი, ბიძია, მაი ბაბუა შენს ასწავლე — არ იტებს გულს. რას იზამ: სტუდენტი თუ არა, მომავალი „სტუდენტი“ ხომ მაინც არის.

ყველა რაღაცას ხლაფორთობს: იზეპირებენ, ადგენენ „შპარგალ-კებს“...

— თუ ძმა ხარ, ერთი ეს ამიხსენი: რას უდრის „ტრაპეციის“ ფართი? — კითხულობს ერთი.

— მაი არ იცი? როდემდის უნდა იყო მაგრე „დუპლეთი“?!

— „დუპლეთიც“ ქე ხარ და ჩერე-ჩეტიც. თუ იცი, ამიხსენი, თუ არა და, რა თავს იგდებ?


— კაი, ჰო, აგისხნი. ასე უთხარი: „ტრაპეციის“ ფართი უდრის-თქო პროტექციას, პლიუს ნათლიმამობას-თქო.

— ხა..ხა..ხა.. — წასკდა სიცილი ყველას. მოვშორდი იქაურობას, მაგრამ სად წახვალ? ყველგან ასეთი მდგომარეობაა. ასე აბარებს გამოცდებს ჩვენი მომავალი სტუდენტობა. „ლიუტაქო“





# უბრალო მიზეზი



— რა ქენი, უორჟიკ, მიგიღეს უნივერსიტეტში?  
 — არა!  
 — რატომ?  
 — ჩემი „ნაცნობი“ (იგულისხმეთ საგამოცდლო უკომი სიის წევრი!) წახულა სადღაც!..

## ოზურგეთი

პარტწმენდას გვერდით მოსდევს „აპწმენდა“, და აჩორქოლდა ყოფილი ხალხი:

ზოგი ბეჯითობს, ზოგი ლაქტობს, ზოგი კი, მგონი, კედელს თავს ახლავს...  
 საბაპარატში ბევრი გვეყავს ხიზნად, მღვდელი, ბერი, თუ ძველი პრისტავი...  
 მუდამ ნატრობენ: ძველი დრო დადგეს და ძველებურად გლესს აძრონ ტყავი...  
 „ჩვენს“ ბარნაბს, მგონი სულ ყველა იცნობს, უყვარდა ძველად: მენდლები, ჩინი, აწ თურმე მაზრის „სოცურუნველკომს“...  
 სადავეში ყავს ეს „ბლალოჩინი“...  
 ლავრენტიც ესლა არ სჩანს აშკარად...  
 მოწყენილი ზის ის პოლიტგანში, ამბობენ: დავით არობელიძე მზიან დარებში გულაობს ბაღში.  
 სოლომონი თუ „მაქვა“-ს „პატრონობს“ და არის მისი ხორცი და სული...  
 ალექსანდრე კი ფოსტაში არის, შემოქმედში რომ „გაქაფა“ ფული.  
 თუ ჩოხატაურს ვერ პოვა ბინა, მღვდელ მელიტონს ეს სულ არ აზინებს! პედტენიკუმში სულ მოკლე დროში, მასწავლებლობის ადგილს აიჩენს!  
 თუმცა პარტწმენდამ მოსდრიკა წელში, და დააღონა აბრამი ჩვენი, მაგრამ ესლაც სჭრის იმასთან თურმე „მალარიჩები“, პურღვინო, ძღვენნი! მესმის ბუხგალტრის თოიძის ქება: „მის ფერი მაზრას არა ჰყავს ორი, ის არის ძველი სპეკულიანტი, გამოქნილი და კომბინატორი“, სარეწკოაში თავს ლაღათ რომ გრძნობს, ნეტა, რას ფიქრობს უღენტი ანტონი, საბაპარატის წმენდის დროს ცოცხი მასაც მოუწევს, „ტარტაროზ“, მგონი!

ყლაპაძე.

## წერილი მებოზრისაღვი

(ოზურგეთისათვის)

დღით — ცხადათ, ღამით — სიზმრათ, დაუფიწყარო და მოსაგონარო, ძმაო სერაპიონ!

უპირველეს ყოვლისა, გისურვებ, რომ შენი მიზნები მალე განხორციელდეს.

მივიღე შენგან გამოგზავნილი წერილი, რომელშიაც იწერებოდი სამტრედიეს ავკარგს. იწერები, რომ მეტად გაგვიკვირებია ამ ბოლო დროს ცხოვრება, რადგან ხმა ჩამოურთმევიათ და სამსახურში არ გღებულა ბენ. ამასთან ერთად იწერები, რომ ექიმ რაჟდენ ნანიეშვილს ხმა ჩამოართვეს იმისთვის, რომ „კერძო პრაქტიკა აქვს“.

შე მამაცნობებულის შვილო, მაქ თუ ასე არის საქმე, რატომ აქ არ ჩამოხვალ; მასეთი უბრალო რამესთვის, როგორც არის „ყოფილი ოფიცრები“, რომ ხმა ჩამოერთმიათ, ესლა ერთიც აღარ ვიქნებოდით აქ სამსახურში. კერძო პრაქტიკისთვის და „ექიმობით გაჭრობისთვის“ ვინმესთვის რომ ხმა ჩამოერთმიათ, არც ერთ ჩვენს ექიმს ხმა არ ექნა და, განსაკუთრებით ექიმ ავთანდილ ინგგოროყვას, რომელიც პირდაპირ

სპეკულიანტობს ბათომ - უზურგეთ შუა ექიმობით.

იწერები „მშვიდობიანობა თუ არის ნაქო“. მშვიდობიანობა კი არის, ყველაფერი თავთავის რიგზე არის. მხოლოდ ქურდობა და ცარცვა - გლეჯა გახშირდა; ამას წინათ მიმინოს დასაქვრათ მიდიოდენ საირაოზე ტიტეკო თოხაძე, თომა ძნელაძე, იაშა თოფურია, ვალიკო თაყაიშვილი, შოთა ვაშალომიძე და მიხაკო ნაკაშიძე. როგორც კი ვაშორდენ ოზურგეთს, დაბთენ გზაში და ხელები ააწვივეს ზევით. ტიტეკო თოხაძის საცოდაობით პირდაპირ ქვა დაიწვიოდა, როდესაც ხუთი სამსამ კაპეიკიანები ამოურიხინეს ჯიბიდან. შოთა ვაშალომიძეს 2 გირვანქა პური და ერთი ჩეთვერი კარაქი წაართვეს; მხოლოდ დანარჩენებს ცოტ-ცოტა აადვეს, რადგან არაფერი აღმოაჩნდათ. ჩვენს შოთას, რევოლვერი სულ რომ ხელში უკაგია, როცა მაზრაში დადის, იმ დღეს თურმე წინათგრძნობა ქონებოდა და სახლში დაეტოვებია.

კლუბის ამბები გაინტერესებს, როგორც ვხედავ, და უმჯობესია, რომ არ იკითხო. ან კი რა საკითხა-

ვია. ის კლუბი, რომელიც გაიოზა თალაკვაძე და მისი შიკა განაგებს. არიან გამომდგარი კლუბის წინ და ლანძღვა - ვინების მეტს არაფერს აკეთებენ. თვითონ ნამდვილი გამგე სახელით საძებარია კლუბში.

ესლა, ალბათ, გაინტერესებს: ვინ არიან კლუბის ხელმძღვანელები და აქტივები? სულ ვაჭრის და ხმა - ჩამორთმეულების შვილები. ერთ ღამობს შიგ ვერ ნახავ, პირდაპირ, ჩემო სერაფიონ, შენი სამყოფი ადგილია ეს ოზურგეთი. თუმცა ხმა - ჩამორთმეული ხარ, მაგრამ ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს; ოღონდ ერთი ჩამოდი და ადგილი გინდაც ხელში გეკავოს. სხოგან თუ არა, მასწავლებლათ მაინც მოეწყობი (როგორც ყოფილი ოფიცერი), ცხრაწლედში ან ტენიკუმში.

სწორედ ესლა არის კარგი დრო: აპარატის წმენდა მიდის, ვინმე „საწყალს გასწმენდენ“ და შენთვის ადგილი მზათ იქნება.

მეტს ესლა არაფერს გწერ. ჩამოდი მალე, რომ ადგილი არ დაგეკარგოს.

შენი მეგობარი იაკინთე შევარდენი.





## კერძოა საპარიკმახერო პეტრესი, მაგრამ მაინც სადაურია ეს წესი?

რამდენადაც ვიცით, საბჭოთა ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევს საზოგადოებრივ ჰიგიენას; ებრძვის ყოველგვარ ბოროტებას ამ სფეროში, სცემს სწავლდებულ წესებს სისუფთავისა თუ სხვა ჰიგიენურ პირობათა დაცვის შესახებ და აკეთებს ყველაფერს, რაც მოქალაქეს უზრუნველყოფს გადაშდებ სნეულებათაგან. ერთ - ერთ საფრთხილო ადგილად, სადაც შესაძლებელია გადაშდებ სნეულებით დაავადება, ითვლება სადალაქო - საპირფარეშო (საპარიკმახერო). არსებობს სწავლდებულო დადგენილება, რომლის ძალით პარიკმახერებს ეკრძალება ერთი და იმავე ფუნჯით ორ მოქალაქისთვის გასაპარსავად სახის გასაპვნა. ყოველ უალქნულ შემთხვევაში მან უნდა იხმაროს სტერილიზაციაქმნილი ფუნჯი. (მოთავსებულოა საგანგებო ბანდეროლიან კონვერტში), მაგრამ ახალდაბაში, ალბათ, ახალი სხვა წესები არსებობს, რომ პარიკმახერ პეტრე ქიქვიძეს არაფერს სთხოვს ამ სადალდებულო წესის დაცვას. ის იღებს ათასჯერ გათხუზულ ფუნჯს და მეთათს პირველად თხუზნავს წვერის გასაპარსავად მის საპარიკმახეროში შესულ მოქალაქეს, თითქმის „ათას ერთი დამის“ შესაფერ დროსა და პირობებში უხდება ამ პროცედურის ჩატარება.

## საჯავახოს წარმოდგენა, ხომ გსურთ ბილეთის შექვნა?!..

„საჯავახური ხუმრობა ნახევარი მართალია“ -ო, ნათქვამია. გინც ეს სთქვა, ალბათ, გათვალისწინებულო არა ჰქონდა ის დიდი ცვლილება, რომელიც განიცადა საჯავახოს ცხოვრებამ ამ უკანასკნელ დროს.

რა ცვლილებაა ეს? ჯერ უნდა ითქვას, რომ ხუმრობისა და გართობისათვის საჯავახო უკვე აღარ წარმოდგენს მთლიანსა და გაშლილს ასპარეზს, როგორც ეს, ალბათ, ყოფილა უწინ, როცა შეგით ჩვენ მიერ მოყვანილი ანდაზა წარმოშობილა. აღამიანთა ცხოვრებით ეს დარგები ამჟამად სავსეა ძებით უკვე კონცენტრაციაქმნილ არიან, ეგრედწოდებული საჯავახოს თეატრში. მართალია, თვითონ თეატრი შეიძლება არც კი არსებობდეს, მაგრამ ის, რაც თეატრს ახასიათებს, ე. ი., წარმოდგენები კი აქ ხანდახან იდგმება.

მოგეხსენებათ, რომ წარმოდგენებს ბილეთები ესაქიროება, ხოლო ბილეთებს მყიდველები. აი, ეს მყიდველებია ძნელე საშოვარი, თორემ ბილეთების ჩამოწერა დიდ სიძნელეს არ შეიცავს. სიძნელე იწყება მხოლოთ ბილეთების ჩამოწერის შემდეგ.

მაგრამ მოგეხსენებათ, ისიც, რომ სიძნელეს ხუმრობა აიოლებს და აადგილებს მის გადალახვას. და აი, წარმოდგენის განზრახვის, უფრო კი - ბილეთების ჩამოწერის დღიდანვე იწყება ეს „ხუმრობა“, რომელიც ნახევრად კი აღარა, უკვე მთლიანად სიბზროლეა, ხოლო ეს სიბზროლე ყოველ მართალსა და პატიოსან კაცს დიდ გასაჭირს განსაცდელში ავდებს ხოლმე.

მერე არ იკითხავთ, რაში მდგომარეობს ეს უკანასკნელ დროს საჯავახოში დამკვიდრებული „ხუმრობა“?!

ბილეთების გაყიდვაში! ორად ორი სიტყვა, მაგრამ გგონიათ, რომ ერთისა და იმავე წარმოდგენისათვის ბილეთის ორჯერ შექვნით თავდება ის?

არ შეგუკამოს ქირმა! იწყება ეს ყოველთვის ასე: გაიხედავ და ერთ მშვენიერ დღეს თქვენს ეზოს მოადგება წყვილი. - შეიძინეთ წარმოდგენისათვის ბილეთი! ხუმრობითა და პირზე ლიმილით გაძლევენ ისინი მტკიცე წინადადებას.

შეიძლება თქვენ გაჭირვულდეთ და გეგონოთ, რომ „საჯავახური ხუმრობა ნახევარი“... მაგრამ ნურას უკაცრავათ, თუ აქ ნახევრობით ვერ გამოხვიდეთ და მოგიწიოთ მთელი ერთი მანეთის გადახდა.

მერე? გგონიათ მორჩით? მარტო ეზოში თუ აშოგვლებათ სული, ან „ხუმრობა“ რაღად გინდათ და ან წარმოდგენა. ხოლო თუ კი ეზოდან ფეხი გადმოსდგით, მაგალითად, ბაზარში ან ყანაში მიგეჩქარებათ, იცოდეთ, რომ გზაში ან იგივე ან ახლა უკვე სხვა წყვილი გადაგყურებათ და: - შეიძინეთ წარმოდგენისათვის ბილეთი! - გესმისთ იგივე პირზე ლიმილიანი ხუმრობა...

„საჯავახურ ხუმრობა ნახევარი“... - უკაცრავად, მოქალაქე, მანეთიანი ბილეთი თქვენთვის სრულიად შეუფერებელია. თქვენთვის წინა ადგილი გვაქვს ჩვენ განზრახული... და ორ მანეთიანი ბილეთი ჩავიდა თქვენს ჯიბეში.

მაგრამ ბაზრიდან ან ყანიდან თქვენ ხომ სახლისაკენ უნდა დაბრუნდეთ ისევ? აი, აქ გზაში ისევ შეგეფეთებათ ახალი წყვილი და ისევ იწყება „საჯავახური ხუმრობა“, რომელიც თავის დროზე უკვე არა ნახევარი ან არა ასი პროცენტით, არამედ მთელი სამასი პროცენტით იყო თქვენთვის გამართლებული, ხოლო თქვენ მიერ განაღდებული...

არ ვიცით, რაღდენ პროცენტს აღწევს ეს „საჯავახური ხუმრობის“ მთლიან სიმართლედ განაღდება. ყოველ შემთხვევაში მისი დაბალი მიჯნა ხომ ასი პროცენტია, ეს ომის დროინდელი დონე. ამ დონეს როცა გადალახავს ის, შემდეგ უკვე გზა გახსნილი აქვს თქვენდაც მის პროცენტულ და მის წვეითაც. ტემპია, მა რა ჯანდაბაა?!

## ჩიქვანის ქალი ნადია, ცემაში დარდიმანდია


ჯერაც არ იციან კარგათ: ნადია ჩიქვანის ქალია თუ გიორგაძის, რადგან ორივე გკარს ისე ატარებს, როგორც ორ ტუფლს. გლენმა დომენტი ტურაბელიძემ ის მოიყვანა ოჯახში რძლათ, როგორც გიორგაძის ქალი: უქალო ოჯახს მიხედავს და ფეხზე დამიყენებს. მაგრამ ნადიამ ოჯახში მიყვანის დღიდანვე დაუწყო ჩხუბი როგორც ქმარს, ისე სიმამრს: მე ჩიქვანის ქალი ვახლავართ: კრებდიშინ - ფაიდიშინის კაბები ტანზე, ხოლო ფეხებზე ლაკის ტუფლები ჩამაცვით, თავზე მოდნის შლიაპა დამხურეთ და ისე მატარეთო. არაო და... გაუსკა მჯიღებს ნადიამ: ერთიც მიბეგვა და მეორეც.

როგორც ხედავთ, საომარი ფხა და უნარი ნადიას ნამდვილ გიორგაძისა აქვს, ხოლო სხვა მოთხოვნილებანი და „ვკუსები“ კი - პირდაპირ ჩიქვანისა.

„შეუკერავს, არ ჩაუცვამსო“, მღეროდენ ოდესმე ჩიქვანის ქალზე. მაგრამ ის თუ, შეკერვის შემდეგ, ჩაქმას გადაგაყოლებდა, ნადია უკვე შეკერვამდე აღარ მიეყვანს ცოცხალს და მჯიღებით გაგასიებს... ძნელე ყოფილა ჩიქვანის ქალის ოჯახში შეყვანა.



# აქიო ანილოჯის მტკიცე სიტყვა



— მიშველე, ექიმო, წამომყვევი: იქნება სულზე მაინც მივუსწროთ ჩემს ავადმყოფს!  
 — არ შემძლია, სანამ ლაზიშვილს ავტოს არ მომიყვანს!

## სცენა ტელეფონთან (სამტრედია)

გოგო!.. გოგონია!.. გოგო!.. ერთი გენაცვალე ყარყანტოში, მიზაბი სამტრედის, სამტრედია!?!.. ა!.. სამტრედია... ხო... გესმის... გოგო! ა?.. გესმის!.. ჩამამაყურე ერთი ეპოს კანტორას, ა!.. რაიო?!.. რაი?!.. ა?!.. ხმა ამეილე, ბოშო, რას წარიბანებ... არ გესმის... ა? რაიო?!.. ახლა გეიგონე?... დეგექცა კარაბაღინი... შენ არშიყობაში ხარ გართული, და შე ქე დავამტრეი ტელეფონი ამდენი ჯაჯგუნით ა?... მისმენთ... ვინა-ხარ, რომ მისმენ! ა? დათიკო!.. „ზრასტი“ დავით... „ზრასტი“ „აპრი ეზლომ“, გენაცვალე „სპრიეზლომ“... რა ქენი, ბიჭო, დაცხე მუშე ართა კონფერენციაზე სამტრედელ „ჩინოგინიკებს“... ა?... დაცხე მარა გექადნება „ობტომ“ ყველა?!?!... ხახვი არ დავაჭრან ყურებზე... ბიჭო, მართლა კოოპერატივის მაღაზიის ნოქრები ყველა ლაპარაკში აკუნენ დროს? მერედა გამგობა რას უყურებს, ა?! ვალიკოს „ჩისტკის“ მერე ორმოცი გრადუსი სიცხე აქვს ყოველდღე... უშველეთ, ცივი ტილო დაატარეთ თავზე მაგ ოხერს, არ და-

გეწვას კაცი... ბიჭო-ბიჭო... დათიკო მიდიხარ... გეძახიან... კაი აბა... წკრ... გოგონა... გოგო!.. მიმაშველე აღმასკომს, ერთი შენ გენაცვალე... ა?... აღმასკომია?!.. გარსევან გამარჯობა, რავა საქმეები, რა ქენი, შე კაცო, ილორის უბანში, კლასს ვერ მოუწახეთ ადგილი კილო?!.. ა? კაცო, ასე საქმის გაჭიანურება შეიძლება? თუ ძმა ხარ, ნუ აპრაექტორებთ მა საქმეს, წვიყვანეთ ერთი მაქანე, „მოჯაჯღანე“ ტენიკი რომ გყავენ, თევზაძე და ვადაზომეთ ერთი აქეთ, ერთი იქეთ და სდლუხეთ შუაში ეგი სკოლა, მორჩა და გათავდა... გარსევან, ერთი ეს მითხარი: ილორში ჭანდრის ხეები რომ იდგა, წმინდა გიორგის ეკლესიის ეზოში, ფსვილ - ფსვილ ტანინი, რებქანა?!.. სა გეიპარა იმაში აღებული ფულები?!.. ა? ჩასანსლა უფკსერო ჯრიაამ... და მერე მიაფურჩიეთ ეს საქმე?... არც მასეა საქმე, ჩემო გარსევან, რაკ მასეა შენ ვადაზომევი ახლა, ერთ მშვენიერ დღეს ისე ვადევეფსკენები მუშგლეხინს და ქე ჩაუმარგალიტებ ყველაფერს, მერე ვნახოთ რავა გამოუვა მაგ ჩიენ გმირებს პარაკლისი... ა? რა იყო?!.. შენ ოთაფერი ბრალში ხარ?... მაგი არაფე-

რია... მაგან გევიგეთო... რავა არ განქდები ვულზე კაცი, ამ სულძალდებმა არც ძირი დავიტოვეს... დეიონ... ფესვიანათ მიაყიდეს ვადაზომევის გზას... კაცო, სამკითხველო ილორში ხომ არ არის და არა... და აგი სამტრედის (ქალაქის) სამკითხველოში ვინცა საკანდელიძე მოგიყვანიათ... არშიყობის მეტს არაფერს აკეთებსო, მუშა, ბოშო, თურმე ჭირვით ეზარება, „პიქონებში“ აქვს საქმეო. მუშა ძველი გაზეთის ნომერი რომ მოსთხოვოს თურმე, მის წესდებაში არ ნაწერა... და ამისთანა გამე მუშათა სამკითხველოს არ ვამოადგება, ჩემო გარსევან... ხოდა მაგას ხომ იცი, რა უნდა... კულტ საქმეები სხვა მხრივ რავა ილორში? ა? ჩხუბის მეტს არაფერს აკეთებს არავინ?... კაი საქმეა... კაი შენმა მზემ... კაცო, საშა მთლად ჩაფელო ობლიგაციებში, ვენაცვალე სულში... მერე კილო რა?... სხვადასხვა კომისიებშია არჩეული? ვაი, ბიძია, უფრთხილდით იმასაც არ ჩამეყვინთოს ხაბოის ძირში, როგორც სხვებს... გარსევან, ათწლეულზე მაქსალაპარაკო მარა. მერეიზა ვადავლებ... ეხლა ერთი ანიქას დამიძახე... ცოტა ხანს იმის ვეჭუპქუო... აა... სალამი ინია... როგორ გრძნობ თავს, ა?!... სიცხე ვაწუხებს?! არა უშავს, იანვარში აგრილდება... ა? გამაგონე... ხმა მალლა, შე ქალო, ყბა - ყური ახოვილი მაქ კოლექტივის საპარაკმახეროში გამატყაყეს... ა! სისხლი არ მემეწამლოს, ნუ გეშინია, გენაცვალე... რა იყო... აა? არ გცალია... რა ცალი გკილია, ბოშო, მთელი დღე ტყვილა ხარ და ახლა გამოგინდა საქმე?!... ბეჩა, შენთან ჩამაყურებია ორი ფოტო გზაი გემევიარე და შენ ქე მირბიხარ... შეიცა, გოგო, საჭირო საქმე მაქ საკითხავი... ა? რაიყო?!.. „სვილანიზა“ უნდა წახვიდე?... უკაცრუად... გენაცვალე, უკაცრუად... ბოდიში... დიდი ბოდიში... მოგვივდა ჩემი თავი, შეგაწუხე, ნახვამდი...

ბრავუნა.

### უამთხვევაკი

1929 წლის აგვისტოს 16-ს სულსის საკრედიტო ამხანაგობის თავჯდომარეს, ამხ. მელიტო გურგენიძეს ენა ჩაუვარდა, რის გამო, ხალხს პასუხი ვეღარ ვასცა, აპარატის გამწმენდმა კომისიამ დროზე ვაანთავისუფლა ამხ. გურგენიძე.

სულსის საკრედიტო მოანგარიშე არონ დოლიძე 20 აგვისტოს უგუნებოთ შეიქნა: მასზე დიდით მოქმედობს კრიტიკა. საჭიროა დახმარება გამწმენდ კომისიისაგან.

უანცი.



# ცენტრალური მრეწველობა



საქართველოს  
საბჭოთა სოციალისტური  
რესპუბლიკის  
ცენტრალური მრეწველობის  
კომისია

სოფელი შრომა, „კუნტრუშას“. კუნტრუშა — ხომს მოძრაობად გავიგონია. ეს თქვენი „კუნტრუშება“ სასიამოვნო მოვლენაა იმდენად, რამდენადაც თქვენს ლექსში რითმა მინც მოხდენილად არის მიწყობილი: „აკეთებს“, „პაკეთებს“, „უვაზეთით.. საგაზეთოდ“. „ჩანგალი... კანკალი“ და სხ. ენლა შინაარსზედაც მოგიწევთ ცოტა წამუშავება და საქმეც გაიჩარხება...

ახალდაბაში, ტარკორს. თქვენი „გაწმენდილის სიმღერა“ იმიტომ კი არ დავიწყებებია, რომ ის ვითომ სინამდვილეს არ შეიცავდეს, არამედ იმიტომ, რომ ზეპირს - მეტად ზოგადი ხასიათისაა და რამდენიმედ ფორმითაც სუსტი ნაწარმოები. წერილის საერთო მოხაზულობა კი ისეთია, რომ ის ვილაც კონკრეტულ პიროვნებას უნდა ეხებოდეს. ჰო და, თუ ასეა, თქვე მამაცხოვნებულო, დავსწერდით უფრო კონკრეტულად, მიკიბვმოკლება ამ შემთხვევაში საქმეს ვნებს, როგორცა ხედავთ.

ს. ნიგოზი, მამია ბარამიძეს. თქვენი პირველი შარადა, ქე რომ „სლამურს“ ეხება, არ ვარგა, არც ფორმით, არც შინაარსით და არც იდეოლოგიით. თქვენი მესამე შარადა ჩვენ არსად შეგვხდეს შარადა, არ ვარგა არადა: დაწერილია მდარადა (იგივე მდარადა) და აგრეთვე მცდარადაც. თქვენი მესამე შარაა ჩვენ არსად შეგვხდეს შარადა...

მაგრამ დავანებოთ შარადებს თავი ავილოთ ლექსი „სიმღერა მოწაფეებზედ“. ვერ გავიგეთ: ეს ჩინელ ხუნხუნებს შეეხება თუ ჩვენებურ მოწაფეებს.

სხვა არამზადობათა შორის, საინტერესოდ არის აწერილი კიტრის ქურდობა:

„განზედ მივედ და რა ვნახე?  
დიდი კიტრი დავინახე  
მოვიდლომე გამოკრეფა,  
მაგრამ ვილაც დავინახე“...

(ეს დანახვა ეხება მეორე მოწაფეს, იმასაც ქურდს). აბა, რა დიდი „გამოკრეფა“ უნდოდა ერთ კიტრს? ასწვედით, მოსწყვეტდით და გზას ბარაქას დააყრიდით. არც ჩვენი შეწყუბება უნდოდა ამას, არც სხვების და მით უფრო — არც თავისი თავის.

ახალდაბა — ლეჩხუმელს. თქვენ სწერთ პეპოს შესახებ:

„მეზობლებსა ის აწუხებს,  
ემუქრება ყველას მუჭით:  
„მე თუ პეპო ბლიაძე ვარ,  
გაგინეთქავთ თავსა ქვით“-ო.

გამოდის, რომ მუჭით კი არ ემუქრება პეპო მეზობლებს, არამედ ქვით. ყოველ შემთხვევაში — ქვიანი მუჭით და არა მარტო მუჭით, მაშასადამე, ოთხი სტრიქონის მანძილზე თუ ასეთი შეუსაბამობა გვხვდება თქვენს პოეტურ ნაწარმოებში, რაღა იქნება თითქმის ოცი სტრიქონის მიყოლებახე?! რა ძალა გადგიათ, რომ თავს ჯაფას ატანთ, სწერეთ დაკვირვებით და, რაც მთავარია, სწერეთ პროზათ. ლექსი აუცილებელი და სავალდებულო არ არის.

იქვე, ხეროს. რადგანაც არც „ხეროს“ უფარვა ლექსი და ზოგი გამოთქმა, მაგალითად: „ქარხნის გამგე ბლიაძე, მუშებს უყვირის და არის ბიუროკრატი“-ო, ამიტომ ჩვენ ლექსით ვაძლევთ მას ასეთ უენიშვნას:

„ამხანაგო ხერო,  
არ გივარგა ეჩო:  
ლექსის წერას დაეთხოვე,  
მატყლი უნდა ჩერო!“

მარან-ჭალაში, მარანჭალელს. თქვენ გვწერთ მარან-ჭალის გლეხკომის სასადილოს ხელმძღვანელებზე ისეთ რამეებს, რომ ამის შემდეგ თქვენი მოწოდება:

„ტარტაროზო, გენაცვალე,  
ცნობას გწერამ,  
იმედია, შემოივლი

და ავენს აჩანგლამ“-ო — რჩება ხმად მლალადებლისა უდაბნოსა შინა, რადგან ჩვენ ჩვენს ჩანგალს ასეთ სასადილოში ვერ შევიტანთ. ისევ თქვენ შებრძანდით და იხმარეთ ლეგილობრივი ჩანგალი.

აქ თუ ახალციხეში. 1+0-ს. გვწონთ, ვზომეთ, ვსაჯეთ და მინც ვერ გავანაწილეთ თქვენი ფსევდონიმი თქვენსა და თქვენ ნაწარმოებს შორის: 1 დაუსვით თქვენს ნაწარმოებს, მაშინ თქვენ იგრძნობთ თავს შეურაცხყოფილათ: 0 როგორ მკაღრაო: 0 დაუესვათ ნაწარმოებს და მაშინ ჩვენ ვიგრძნობთ თავს შეურაცხყოფილად: რაც არ ერგებოდა, იმდენი რისთვის დაუესვით-თქო. ამიტომ ვამჯობინეთ ისევ გაუნაწილებლად მათი გოდორში მოთავსება.

გამოჩინებულში, ნინას. თუ სკოლის გამგემ შალკამ ეზოსი და ბალის სარები ცეცხლში დააწვევინა მოწაფეებს ზამთარში, აქამდის სად იყავით? ისე თქვენი დავალების შესრულება ჩვენგან მეტის - მეტად ძნელია. თქვენ გვთხოვთ:

„ტარტაროზ“, ჩემო ძმობილო,  
დავიწყეთ შალღას ძვირია,  
რომ შენი მჭრელი ჩანგალით  
მას აუმტვრიო ცხვირია“-ო,

მჭრელი საგნით ცხვირის ამტვრევა რაღაც შეუსაბამო საქციელია, როცა შეიძლება ცხვირის სრულიად ათლა და აცლა.

გამოჩინებულში, მღელვარეს. თქვენი ნაწერიდან სჩანს, რომ რაღაცას მართლაც აუღელვებინართ, მაგრამ სახელდობრ: რას? — ეს ჯერ-ჯერობით რჩება გამოურკვეველი.

## პასუხისმგებლობა



აი, კაცი, რომელიც პასუხისმგებლობიდან პირდაპირ პასუხისგებაში მოჰყვას!...





მიგრადით მავრამ „ღამვარცხლით“...

ესე იგი: ვისწავლეთ ბრძოლა და გავიმარჯვებთ კი-  
დეც ახალი ბრძოლისათვის... J.N.